

# ტბილისი

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14<sup>e</sup>).

№ 6-13

0 3 6 0 6 0 1938

№ 6-13

შ ი ნ ა ა რ ს ი :

\*\* — 1918 — 1938

ვლ. ახმეტელი — წარსული სინანულისა — მომავალი სიხარულისა  
შალვა ამირეჯიბი — მათი „ოცი წელი“  
გრ. დიასამიძე — დიდი მგოსნის მიპატიუება რუსა-ლეჩებუმში  
ვლ. ემუხვარი — ჩემს ბრალმდებელთ  
მიხეილ კედია — ისევ ბ. ნ. უორდანია და მისი „ეროვნული ფრონტი“  
სამსონ ყრუაშვილი — ბათუმის, ართვინის და არტაანის საკითხის ირ-

გვლივ

ი. გვარამაძე — ყარსის ოლქის ახლო ისტორიიდგან

\*\* — დაუვიწყარი ჩვენი ქაქუცას მოსაგონებლად


\*\* — პრესა

ქართველი მებრძოლი — უკრაინელი დიდი მამულიშვილის დალუპვა

\*\* — ტამბი ელექტოტის მოხსენება

1 9 1 8 - 1 9 3 8

დადგა ჩვენი ერების მიერ თავისი დამოუკიდებლობის გამოცხა-  
დების მეოცე წლის თავი. დაუვიწყარი ნეტარების წუთი და მრავალ  
წელთა მანძილზედ განცდილი ვაება, დღეს შედუღებულია ამ ერთა  
ბრძოლის ერთ წმინდა წარსულში, ისევ იმავე თავისუფლებისათვის,  
ისევ იმავე დამოუკიდებლობისათვის. მაგრამ როგორ შეტრიალდა დრო



ამ ხნის განმავლობაში! მაშინ ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება, ის არის, გათავებული ომის შემდეგ და დამოუკიდებლობაც ისე იყო განცდილი ჩვენგან, როგორც ამ ომის სასიკეთო ძლვენი ერთათვის. დღეს დამოუკიდებლობის მეოცე წლისთავს ჩვენა ვხვდებით, შესაძლებელია, ახალი ომის წინ. ამ რისხვის მოლოდინში მსოფლიოს თვალი გადაელია. შესაძლებელია ის დღე-დღეზედ ამოვარდეს და თან ჩაიყოლიოს როგორც დიდი ისე პატარა ერები. და თუ ეს მოხდა, ამისი მიზეზი იქნება ის მოვლენა, რომელიც იმავე ომშა ოცი წლის წინეთ წარმოშვა — ეს არის კომუნიზმი! ეს არის მარქსიზმი! ამ კომუნიზმა და მარქსიზმა შეიწირა მაშინ ჩვენი ერების დამოუკიდებლობა, იგივე არის რომ დღეს ხვალის ომს ამზადებს, რათა ნაცარ-ტუტა აღინოს ცივილიზაციას, კაცობრიობა ბარბაროსობაში ჩააგდოს, რომელსაც ნგრევა, შიმშილი და სიკვდილი უნდა მოჰყვეს.

კომუნიზმმა დაიპყრო არა მარტო ჩვენი ერები, იგი აწვალებს არა მარტო მათ — ის ემუქრება მთელ მსოფლიოს და მთელ კაცობრიობას.

ჩვენი ერების დამოუკიდებლობის გამოცხადების ნათელ თარიღის მეოცე წლისთავზედ, პირველი ჩვენი ხმა უნდა იყოს ძახილი, რომ კომუნიზმი, მარქსიზმი, ადამიანის მტერი, მშვიდობიანობის მუქარა, ცივილიზაციის დამნთქავი ღვთის გამაუქმებელი, თავისუფლების ჯალათი და ერთა მჭამელი დაიღუპოს, გაჰქრეს, დათრგუნვილ იყოს, არა მარტო დამონებულ ერთა გაერთიანებულის ძალებით, როგორც არიან კავკასია, უკრაინა, თურქეთანი, არამედ კულტურულ ქვეყნების გაერთიანებულ ძალებითაც, რომლებიც კომუნიზმს ჯერ არ დაუმორჩილებია. მაშინ გაჰქრება ომის მთავარი მუქარაც, რომელიც განათლებულ ერებს ზედ დასწოლია.

ამიტომ არის რომ ჩვენი ბრძოლა ჩვენის დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ერების ბრძოლა წითელი მოსკოვის წინააღმდეგ — საერთო საკაცობრიო საქმეა.

კომუნიზმი განურჩევლად ემუქრება როგორც მცირე, ისე დიდ ერებს. მან დაიპყრო რუსეთის სახით უდიდესი ტერიტორია და ეხლა ემუქრება მსოფლიოს თვით უდიდეს სახელმწიფოებს. მართალი არ არის, როგორც ეს „ოვეირთ სახელმწიფოს დღეს ჰგონია, რომ მათ უკვე „აირიდეს“ კომუნიზმი. კომუნიზმი ყველგან თავისით ჩნდება აღგილობრივ, იმიტომ რომ არსებობს საბჭოთა რუსეთი, არის კომინტერნი — ფრიად შორს ნატყორცნი ყუმბარა საერთო ატმოსფერა ააფეთქოს და მოსწამლოს. კომუნიზმი თვით ერთა ლიგაშიც შევიდა.

ეს გახდა მიზეზი, რომ მრავალი წლის ნდობის შემდეგ ამ დაწესებულებისადმი, მისი პრესტიუი ასე დაეცა და რომლისგან გამოლვიდებული ეროვნული შეგნების სულის სახით პოლიტიკურ განახლებას ჩვენ აღარ ველით.

ოცი წლის ტერორმა, მკვლელობამ, მასობრივმა ხერეტამ, სისხლში ჩამხრჩალმა აჯანყებებმა, კატორლულმა შრომამ, ღვთის გმობამ, გარყვნილებამ, მორალურმა და გონებრივმა სიბნელემ, ჩვენ ერებში ვერ

ჩაჰელეს ის იმედი, რომ დღეს თუ ხვალ კომუნიზმი უნდა მოისპოს, ხოლო თავისუფლება და დამოუკიდებლობა ისევ დაუბრუნდეს ცხოვრებას.

ასეთი იმედით უხვდებით ჩვენც ჩვენი ერების მიერ თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადების ოცი წლის თავს და უგზავნით მათ მამაცად დგომისა და გმირული ამტანობის ყოფის სურვილებს იმ შავბედში, რომელიც კომუნისტებმა განუმზადეს მათ, ლვთისა და ადამიანის სამართლის დათრგუნვით.

მაგრამ რა თქმა უნდა, რუსეთი ველარ იქნება ის ქვეყანა, მას აქეო რაც მან ასე იოლად შეითვისა კომუნიზმი, რომ მომავალშიაც მან წარმართოს ჩვენი ერების ბედი. დედ, რუსის ხალხმა, როცა ის წითელ ულელს მოიგდებინებს, ისე მოაწყოს თავისი ბედი, როგორც მას ეყურება და როგორც მას ეპრიანება. ჩვენი ისტორიული წარსული განგვისაზღვრავს ჩვენ, ჩვენს საკუთარ, ჩვენ დამოუკიდებელ გზებს. ეროვნული თვითგამორკვევა დიდი ომის ერთი მთავარი ლოზუნგთაგანი იყო. ერთა ლიგამ არ ისურვა და არც შეეძლო, რომ იგი საბოლოვოთ განეხორციელებინა, მაგრამ თვით ცხოვრება აყენებს ისევ ამ პრობლემას, ასე მკვეთრად აღმართულს სწორედ ჩვენში, მოსკოვის „კომუნისტური საწამებელის“ საზღვრებში.

ჩვენი ამ საპატიმროში ყოფნის მწარე წლებში, ჩვენი ნება თავისუფლებისადმი, რა თქმაუნდა, კიდევ უფრო განმტკიცდა.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ კავკასიას!



## წარსული სინაულისა — მომავალი სიხარულისა

1 9 1 8 — 1 9 3 8

უკვე ოცი წელიწადი შესრულდა, რაც კავკასიის ხალხებმა თავიანთი სანეტარო ეროვნული თავისუფლება დაჰკარგეს; ოცი წელიწადი უკვე გასრულდა, რაც ჩრდილოეთის ულმობელმა მტარვალმა კავკასიელთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა ფეხით გასრისა და თორმეტ მილიონ მცხოვრებთ მოსკოვის ბატონობის ულელი დაადგა. ულელი მძიმე და აუტანელი! ამგვარი ტანჯვა-წამება მათ არასოდეს არ განუცდიათ. შესაძლებელია წარსულში რაოდენობით მეტი ხორციელი მსხვერპლი გაულიათ, მეტი სისხლი დაუღვრიათ, მაგრამ რა სულიერ ტანჯვასა და ვაებას განიცდიან დღეს რუსეთის ხელში — ამის მსგავსი კავკასიის მცხოვრებთ არც ისტორიაში წაუკითხავთ და არც ზეპირ სიტყვათა გადმოცემით გაუგონიათ.

გონებას ურყვნიან, აზრს უკლავენ, ფაქიზ გრძნობებს ბინძურათ სჯიჯგნიან, ოჯახურ სულიერ ცხოვრებას ათასირებენ, შვილებსა და მშობლებს შორის ღვარძლსა სთესენ, ერთი სიტყვით მოსკოვის ბელ-



ზებლებს სურთ ჩვენ ხალხს სული ამოაცალონ და მხოლოდ ცოცხალ ლეშათ-ღა დასტოვონ. მოსკოვის სულის მწამებელთ მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ ჩვენ, კავკასიელ ერებს ისეთი სენი გადაპკიდონ, რომლის რჩენა-გაჯანსაღებას რამოდენიმე ათეული წლები დასჭირდება. ეს არის მათი მიზანი, ეს არის მათი სიმბოლო სარწმუნოებისა!

მაგრამ მწარეთ სცდებიან, ფუჭად ოცნებობენ მოსკოვის ჯალათები, სულისა და გრძნობის მტარვალები! კავკასიის ხალხები ისტორიის უხსოვარი დროიდანვე კავკასიაში მოსახლეობენ, ბევრი ვაება-ტანჯვა გადაუტანიათ, მრავალ მტერთა რისხვა-წამება განუცდიათ, მაგრამ თავისი სახე, ენა, ზნე-ჩვეულება უმწიკვლოთ შეუნახავთ, დღემდის მოუტანიათ. კავკასიელთა სულიერი არსი, მისი თავისუფლებისადმი საყვარული, ისეთი ბუმბერაზი და მტკიცეა, როგორც მისი თვალუწვდენელი მთები, ნაზი და ფაქიზია, როგორც მისი მშვენიერი ბუნება. კავკასიის მკვიდრი მცხოვრებნი საუკუნეთა განმავლობაში, თავგანწირულად იბრძოდნენ თავიანთ ეროვნული მეს შესანარჩუნებლად და თვითეული ერს თუ ხალხს ოქროს ასოებით ალუბეჭდია თავისი საგმირო საქმენი.

მოსკოვის მიერ მოყვანილ წლვდიადსაც გაფანტავენ კავკასიის ხალხები და კვლავ ელირსებიან თავიანთ ეროვნულ თავისუფლებას. ტყუილად კი არ გადაუკიათ კაცობრიობისათვის პრომეთეზე თქმულება. ციდან სინათლე, ცეცხლი პრომეთეოზმა ჩვენ კავკასიაში მოიტანა, ქვეყნისა გასანათლებლად. კაცობრიობის გასათბობად. და ეს შუქი, ის ეროვნული სულია, რომელიც მუდმივად ცეცხლს აჩენს კავკასიელთა გულში ეროვნული სიმტკიცის გასაძლიერებლად, ხოლო მტრის დასაბუგავად.

ზევით გაკვრით ალვნიშნეთ, რომ კავკასიის თვითეულ ერს აქვა, თავისი ბრწყინვალე წარსული, ბრწყინვალე ისტორია ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში. მთიელებს, სომხებს, აზერბეიჯანელებს, ქართველებს ხელი არ დაუკლიათ თავისუფლების ბრძოლისათვის და ურიცხვი მსხვერპლი გაულიათ. აქ ერთი მეორეს ვერაფერს უსაყველურებენ და არც რიგიანობა იქნება, რომელიმე ამათგანმა პირველობა დაიჩინოს. თვითეული კავკასიელი ერთაგანი პირველია თავისი დამოუკიდებლობის ბრძოლის საქმეში და ერთად ალებულნი ყველანი პირველნი არიან! მთელი კავკასია, მთელი კავკასიის მთა-ბარი კავკასიელთა სისხლით არის გაპოხიერებული და აქ, ერთმანეთისადმი სამდურავი არ გვეთქმის.

მართალია, დროთა განმავლობაში, კავკასიის მკვიდრი ერები ხშირად ერთი მეორესაც ედავებოდნენ, ხშირად ძმათა სისხლიც იღვრებოდა, მაგრამ ეს იყო გარეშე მტრის მუხანათობის შედეგები, ხდებოდა უცხო ძალების ძალდატანებით, რაიც წყევლა კრულვით უნდა მოიგონოს თვითეულმა კავკასიის ერმა. შავბნელ დღეებს მხოლოდ და მხოლოდ სინანულით გახსენება უნდა და მათი ასე თუ ისე წინ წამოწევა, ანდა ნიშნის მოსაგებად მოხსენება მომაკვდინებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. შავბნელი წარსულის სინანული, შეცდომის არ გამეორება,

აი, რა უნდა იყოს კავკასიელ ხალხთა სანეტარო მრწამსი, მათი გზის გარეშემატებელი ვარსკვლავი.

დამღუპველ მოვლენათა ჩამოსათვლელად საჭირო არ არის ჩვენი ხალხების შორეულ ისტორიის ფურცლების შლა; სულ ახლო წარსულიც რომ მოვიგონოთ, აშკარად დავრწმუნდებით, თუ რა დიდი ზიანი მოგვაყენა ურთიერთ შეუთანხმებლობამ, მთლიანი კავკასიის წდეის უქონლობამ თვითეულ ჩვენგანს და საერთოდ ყველას. მთლიანი კავკასიის არსებობითი შეხედულება კი, ხაზგასმით ვიმეორებთ, ქვა-კუთხედია, რომელზედაც უნდა აშენდეს მთელ კავკასიის ხალხების და თვითეული ერის მომავალი ბეღნიერება. დღევანდელ პირობებში ერთად ყოფნა, ერთად მტკიცე კავშირის შეკვრა შინაურობაში საკეთილდღოა, გარეშე ძალებისათვის კი საგულისხმო და ანგარიშის გასაწევია. ცალ-ცალკე არსებობა, ცალ-ცალკე დამოუკიდებლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა, როგორც ახლო წარსულმა დაგვანახვა უღლეო იქნება; მტერი ადვილათ დაგვივლის, სათითაოდ ადვილად დაგვიპყრობს. სწორედ გარეშე მტერსაც კავკასიის თვითეული ერის საკუთარი სახელმწიფოებრივი შემოფარგვლა უადვილებს თავისი ბოროტი განხრახვა ადვილად სისრულეში მოიყვანოს. ამას ცდილობდა მტერი ძველად — ამასვე ეცდება დღეს. მთლიანობა ის ბურჯია, რომელზედაც უნდა დაილეწოს მტრის ყოველგვარი განზრახვები.

მთლიანობის იდეის უქონლობის გამო ადვილად გაიწირა კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი არსებობა; თითქმის ერთი დაკვრით არარად აქცია ჩრდილოეთის მტერმა ოთხი თავისუფალი რესპუბლიკა და ვერც ერთმა მათგანმა მტერს ოდნავ წინააღმდეგობაც კი ვერ გაუწია. თვითეული რესპუბლიკათაგანი თავის ტერიტორიაში შებრუნდა, კარი მოიკეტა და აქ იწყო გამაგრება. იმ ბრწყინვალე დღეებში არ გაისმოდა მთლიანობის მედგარი სიტყვა, არ გამოჩენილა კავკასიის ხალხების ერთიანობის მქადაგებელი მოციქული. ამიტომაც იყო რომ ერთის შემოტევით, მტერმა საწადელს მიაღწია.

დიახ, სანანებელი და სამწუხაროა წარსულის მოგონება, გულდასაწყვეტია მისი გახსენება. მაგრამ სანუგეშებელია მეორე გარემოება, რომელიც ბრწყინვალე მომავლის იმედებს გვიღვიძებს და ჩვენი წარსულის უიმედობას ანაიავებს. საბედნიეროდ, იქ ადგილობრივ, კავკასიაში მძიმე ცვლილების შემდეგ დაიბადა პირმშო შვილი, რომლის სახელია კავკასიის ხალხთა მთლიანობა, კავკასიის ერთ ერთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობა. მათ სხვა მცნება და იდეური მიმდინარეობა არ იციან. მათ იციან მხოლოდ მტკიცე ბრძოლა საიდუმლებით შეკავშირებული, მოწოლილ მტრის წინააღმდეგ. პოლიტიკური თუ ეკონომიურ, ფინანსიურ თუ საერთო მართველობის ნიადაგზე, სრული შეთანხმებით იბრძვიან რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ და დღე და ღამე ამის ფიქრსა და მეცადინეობაში არიან. იქ ემიგრანტულ დაშლილობას, უაზრო და უნაყოფი შეხლა-შემოხლას აღგილი არა აქვს. იქ მხოლოდ ორი მთავარი ბანაკია: ჩვენ და ისინი. ჩვენ — კავკასიელები



არიან, ისინი — მოსკოვის რუსთა ბატონები. ამათში გაჩაღებული ბრძოლისაა და ამ მუდმივ ბრძოლაში იჭედება ჩვენი მთლიანობა, კავკასიის ხალხთა დამოუკიდებელი არსებობის იდეა.

დღეს რაც ევროპაში მყოფ კავკასიელ ემიგრანტებს ასულდგმულებს, იქაურებისათვის სასაცილო და სავალალოა. ტყუილად ფიქრობენ ზოგიერთი ვაჟბატონები რომ მათი პარიზის თუ ბერლინის ქუჩებში ხმაურობა სახელმძღვანელო სარისტები იყოს კავკასიის ხალხებისათვის. ბედი ჩვენი იქ იჭედება, ჩვენი ხალხების მომავალი იქ ისახება და მათ ჩვენი, ვითომდა ჩვენი ხალხების უფლებით აღჭურვილების დარიგება არ სჭირიათ.

ახლო წარსული მისთვის სანანებელია. ის რაც ოცი წლის წინათ ხელის შემშლელი იყო, დღეს ეს მისთვის მოსამორებელია, დავიწყებას მიცემულია; მხოლოდ რაც გამამტკიცებელია, მთლიანობის მომცემია — იმას ეჭიდებიან და იმაში ჰქედავენ თავიანთ ბრწყინვალე მომავალს.

ვლ. ახმეტელი



## მათი „ოცი წელი“

გავიდა ოცი წელიწადი მას აქეთ, რაც საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობა დღე მოკლე გამოდგა. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ სწრაფი სიკვდილის ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მას მართავდა ხალხი და ისეთი „იდეოლოგიური“ მოძრაობის ნაწილი, რომელიც იქვე საქართველოს გვერდით, ყოფილი რუსეთის იმპერიის დიდ ფართობებზედ „რუსეთის დიდ რევოლუციას“ ჰქმნიდა. ამ „ერთიან“ ისტორიულ პროცესში, საქართველოს დამოუკიდებლობის დალუპვა გარეგნულად უმთავრესად იმ გარემოებაში გამოიხატა, რომ ერთმა რუსულმა ბოლშევიკურმა პარტიამ მეორე რუსული მენშევიკური პარტია შესცვალა. ესენი იყვნენ პარტიები, რომლებიც, საქართველოს რუსეთთან ყოფნის ხანაში, ერთ საერთო მარქსისტულ მსოფლედველობას და ერთ საერთო სულისკვეთებას გამოხატავდნენ. ერთი მენშევიკური რევოლუციის კალაპოტიდან საქართველო მეორე ბოლშევიკური რევოლუციის კალაპოტში გადავიდა. სულ სხვა იყო ამ ცვლილების ეროვნული შინაარსი, მაგრამ ის ვერ გაიგეს ვერც ბოშლევიკებმა, ვერც მენშევიკებმა კატასტროფის შემდეგაც.

მაგრამ ეს გარემოება, დღეს ყველასათვის ცხადი, საქართველოს ყოფილ „ჭირისუფლებს“ ხელს არ უშლის, რომ ოცდა ექვსი მაისის ოცი წლის თავზედ, თავისი წარსული ლვაწლი, ეროვნულ საქმეში, დიდის ჭებით მოიხსენიონ და თავიანთ თავს გუნდრუკი უკმიონ. ამის საბუთს იძლევა ბ. უორდანიას წერილი, მაისის „დამოუკიდებელ საქარ-



თველოს“ ნომერში ორ ენაზედ დაბეჭდილი — ქართულად და ფრანგულად — სადაც ავტორი აცხადებს, რომ თუ 1918 წელს საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადება შესძლო, ის უნდა მიეწეროს იმ სამაგალითო „წესიერებას“ (იგულისხმება მენეშვიკური წესიერება!), რომელიც „რუსეთის იმპერიის კიდის კიდემდე“ მხოლოდ ერთ საქართვლოში არსებობდა.


ბ. უორდანია ამას აცხადებს ისეთის კათეგორიულის კილოთი, რომ „წესიერებას“ ხომ თქვენი ჭირი წაულია, საქართველოს გარდა არავის გამოუცხადებია დამოუკიდებლობაც და არც ეს ერები არსებულან.

რა თქმა უნდა ეს მართალი არ არის და რამდენი იყო ერი, საქართველოს გარდა, რომელმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადა, როგორი იყო „წესიერება“ ამ ერებში და ვინ როგორ გამოიყენა იგი, ამის ამბავი ისტორიას უნდა ვკითხოთ.

იმავე დროს და იმავე „რუსეთის იმპერიის კიდის კიდემდე“ დამოუკიდებლობის გამოცხადება შესძლეს ისეთმა ერებმა, როგორიც არიან პოლონეთი, ფინლანდია, ლიტვა, ლატვია და ესტონია (უკრაინაზედ და კავკასიის სხვა ერებზედ რომ არაფერი ვსთქვათ!) და უნდა ვიფიქროთ, შესძლეს იმიტომ, რომ „წესიერება“ უფრო ნამდვილი და დამოუკიდებლობის სურვილი — უფრო მტკიცე, მათაც ჰქონდათ. ამას ვამბობთ იმიტომ რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება შესძლეს და დღემდის შეინარჩუნეს კიდევაც სწორედ იმ ქვეყნებმა (პოლონეთმა, ფინლანდიამ, ლიტვამ, ლატვიამ და ესტონიამ) რომლებიც ბ. უორდანიას, ეტყობა უწესრიგობის ქვეყნებში ჰყავს გადარიცხული და არა საქართველომ, რომლის დამოუკიდებლობა თუმცა უმთავრესად „წესიერებაზედ“ ყოფილა აღმოცენებული და მაინც ორ წელიწად ნახევარზედ მეტი ველარ გასძლო.

ბ. უორდანიას მთავარი დებულება, რომ მენშევიკურმა „წესიერებამ“ დამოუკიდებლობის გამოცხადება შესძლო, მაგრამ დამოუკიდებლობამ არსებობა ვერ შესძლოვო, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს ეს დამოუკიდებლობა მგელს შეეჭამოს. და ბ. უორდანიას ეს მგელი მარქაფად თან დაჰყავს. ეს მგელი რუსეთია. გაუგონარი რა არის, რომ დიდმა რუსეთმა პატარა საქართველო გადაჰყლაპოსო, თითქოს ამბობს ბ. უორდანია და თავის თავს და თავის „წესიერებას“ ძალიან აღვილად ხდის ბოდიშს.

რა თქმა უნდა, მართალი არც ეს არის და ასეთი ლაპარაკით ბ. უორდანიას მხოლოდ თავისი წარსული პოლიტიკის გადაფუჩეჩება სურს. იმავე რუსეთს მარტო საქართველოს გადაყლაპვა არ უნდოდა და როგორც ცნობილია, ზოგან გამარჯვებით, ხოლო ზოგან სასტიკი მარცხით, ეს რუსეთი ყველა თავის ყოფილ ქვეშევრდომ ერს ეომა. მაგრამ იყვნენ ერები, რომლებმაც რუსთის შესევას გაუძლეს, თავი გადირჩნეს და დღესაც დამოუკიდებლები არიან (პოლონეთი, ფინლანდია, ლიტვა, ლატვია და ესტონია) და იყვნენ ისეთებიც (მათ შორის საქართველოც!) რომლებმაც რუსეთის შესევას ვერ გაუძლეს და დაიღუპნენ



„წესიერებას“, რომელიც ამ ერებში არსებობდა, ეროვნულ თავ-დაცუის საქმეში უპირატესი მნიშნველობა ჰქონდა და გაიმარჯვეს იმ ერებმა, ვისაც ეს „წესიერება“ მართლა ჰქონდათ. მაგრამ ბ. უორდანია უკულმა მსჯელობს. აქ მისი ენტუზიაზმი ბნელდება და თითქმის იმისი თქმა სურს, რომ იღუპებიან ერები თუ მათ „წესიერება“ აქვთო და დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ ისეთები, რომელთაც ის არ აბადიათო.

ასეთია ბ. უორდანიას მსჯელობა. ისტორია, მაგალითი, შედარება, დასკვნა მისთვის არ არსებობს. იგი მხოლოდ იჩქარის დიდი და გამაბრუებელი „მაგალითებით“ რაც შეიძლება ჩქარა დაუმტკიცოს თავის მკითხველს, თუ რა ბრწყინვალე, რა შესანიშნავი იყო საქართველოში ეს მისი, არავინ იცის, სასარგებლო თუ უსარგებლო „წესიერება“!

ბ-ნი უორდანია მოგვითხრობს:

„განა ჩვენში არ იყვნენ მემამულეთა და უმამულოთა წოდებები? მაგრამ ისინი ერთმანეთს არ დარევიან, ძმათა სისხლი არ დაუღვრიათ. ყველა კლასი და წოდება ამაღლდა თავის ინტერესებზე და თავისი ქონება და შეძლება ნაციონალური აღორძინების სამსხვერპლოზე მიიტანა. ვის არ ახსოვს თავად-აზნაურობის დაუვიწყარი აქტი, მისი წინამდლოლის აფხაზის მიერ საჯაროთ გამოცხადებული“ -ო.

და აქ ბ. უორდანია იგონებს თუ როგორ შესწირა საქართველოს თავად-აზნაურობამ თავისი კოლექტიური ქონება ერს, როგორ „სრულიად უპროტესტოთ მიიღო ავრარული რეფორმა“ მან.

ძვირთასი მოგონება! საქართველო, მისი თავად-აზნაურობა, სრული მისი ერი მუდამ ასეთი იყო. მხოლოდ უნამუსო და გაბრიყვებული პირები ჰყვირიან დღეს რომ ქართველი თავად-აზნაურობა („ფეოდალები“) წარსულში საქართველოს მიწებს „ჰყიდიდა“. თავადი კოსტანტინე აფხაზი კაცი იყო და ქუდიც ეხურა! თავისი კარგი ქრონიბა მან სიკვდილითაც დაამტკიცა. მისი შუქი დღესაც გვინათებს. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილიც ასეთი საქართველოს მხედარი იყო!

მერე რითი უპასუხა ბ. უორდანიას „წესიერებამ“ ასეთ თავად აფხაზს? მისმა პარტიამ საქართველოს სოფლებში წითელი მამალი გაუშვა და თავად-აზნაურობას სწვამდნენ და ხოცავდნენ. იყო შემთხვევები როცა თავად აზნაურთა ოჯახებს დედა-ბუდიანათ ულეტდნენ და მათ ცხედრებს ძალლებთან ერთად ჰკეტავდნენ. ეს ხდებოდა დამოუკიდებელ საქართველოში, ბ. უორდანიას წესიერების ხანაში, როცა საქართველოს პარლამენტი არსებობდა.

მე ამას ეხლა არ ვამბობ — ამაზედ ვსწერდი იმ საშინელ დღეებშიაც.

თავადი აფხაზი, დიდი ვალდებულების კაცი თავის ქვეყნის წინაშე და დიდი გულის აღამიანი განსაკრებულის დროს, ამ პარლამენტის ტრიბუნაზედ გამოვიდა და სთქვა:

— მე ვეკითხები მთავრობას: სთვლის თუ არა ის საქართველოს თავად-აზნაურობას თავის მოქალაქეებად და თუ სთვლის ვალდებულად რაცხს თავის თავს დაიცვას მათი სიცოცხლე თუ არა? თუ მთავრობა

ამაზედ უარს იტყვის, ჩვენ მეტი არაფერი დაგვრჩენია, რომ ჩვენი მამა-  
პაპათა ქვეყნიდგან სხვაგან გადავსახლდეთო!

მას პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბ. გვარ-  
ჯალაძემ:

— ჩვენი რევოლუცია გამარჯვებულია და გამაჯვებული რევო-  
ლუცია ტერორის აღარ საჭიროებს. ამიტომ რასაც დღეს საქართველოში  
ადგილი აქვს — სამწუხაროა. მაგრამ ბ.ნ აფხაზს კარგად უნდა ესმოდეს  
რომ ის, რაც დღეს საქართველოში ხდება შურისძიებაა იმ დანაშაული-  
სათვის, რომელსაც თავად-აზნურთა წინაპრები საუკუნეთა განმავლო-  
ბაში გლეხობის მიმართ სჩადიოდნენო.

ამ რიგად ბ. გვარჯალაძემ არა მარტო დაადასტურა ეს ტერორი,  
არამედ გაამართლა კიდევაც. ასე ლაპარაკობდნენ მინისტრები საქარ-  
თველოს პარლამენტში. ეს იყო პარლამენტი, რომლის ტრიბუნაზედ გა-  
ნსვენებული ჯულელი წელ-მაუზერიანი აღიოდა...

ბ. გვარჯალაძის სიტყვის შემდეგ, თავადი აფხაზი სხდომის დარ-  
ბაზიდგან პირდაპირ პარლამენტის კანცელარიაში შევიდა და მდივანს  
წერილობითი განცხადება გადასცა, რომ ამ დღიდგან პარლამენტის წე-  
ვრობაზედ ხელს ილებდა. ამის შემდეგ თავად აფხაზს პარლამენტში  
ფეხი აღარ შეუდგავს.

ასეთი იყო ის „წესიერება“, რომელიც, ბ. უორდნიას თქმით, საქა-  
რთველოში არსებობდა და რომელიც დაჰვია და შეაჩვენა სწორედ იმ  
კაცმა, რომლის ხსოვნის წინაშე ბ. უორდანია დღეს თავს იხრის. მაგ-  
რამ გულწრფელი და უანგარიშო არც ეს ქამანდია. თუ ბ. უორდანია  
დღეს თავად-აზნაურობაზედ და თავად აფხაზის „დაუვიწყარ აქტზედ“  
ლაპარაკობს, აიხსნება მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ შემოფანტული  
ემიგრაციის თავის მოსაყრელად მას ქართული სათნოების მაგალითი  
სჭირია, რომელსაც თავისი პარტიის ისტორიიდგან ბევრს ვერ დაასახე-  
ლებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ოცი წლის თავ-  
ზედ მეტი არ იქნება ითქვას, რომ ყველაზედ ნაკლები ლვაწლი ამ საქმე-  
ში თვით ბ. უორდანიას მიუძლვის. მან არ ისურვა, ან ვერ გაბედა, რომ  
დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე  
თითონ ყოფილიყო. პირველი ქართველი პრემიერი განსვენებული ნოე  
რამიშვილი იყო. გავიდა თვე და „სახალხო გვარდიამ“ ნ. რამიშვილს  
„კუ-დ-ეტა“ მოუწყო და მთავრობის სათავეში ნ. უორდანია ჩააყენა,  
რომელიც ამ „გვარდიის“ მთავარი შტაბის თავმჯდომარე იყო. ასე და-  
იწყო „სახალხო გვარდიის“ ბატონობა რესპუბლიკაში, რამაც მალე სა-  
ქართველო თებერვლის კატასტროფამდე მიიყვანა.


შ. ამირეჯიბი

## დიდი გაოსნის მიპატიშება რაჭა - ლეჩიშვილი (ნამოგონარიდან)

მეოცე საუკუნის მეორე ათეულის დასაწყისში მოეწყო აკაკის გა-  
მგზავრება რაჭა-ლეჩიშვილისაკენ. უმთავრესი მიზანი უჩვეულო მიპატი-  
შებისა ხალხის მიერ იყო, საშვალება მიეცა მწერლისათვის გასცნობო-  
და საქართველოს იმ ნაწილს, რომელიც მანამდე არ ენახა. სწორედ უც-  
ნაური მოვლენაა, რომ ერთი უწარჩინებულესი და უპირველეს ქართ-  
ველთაგანი არ ცდილა თავის ღრმა მოხუცებულობამდე ენახა ერთი  
საუკეთესო კუთხე, რომელიც ასე მჭიდროდ მიტმასნულია მის სამშობ-  
ლო საჩერე-სხვიტორთან. საუბედუროთ დაუვიწყარი ჩვენი სიამაყე  
აკაკი არ იყო აშორებული ჩვენს საერთო ნაკლს. განათლებულ ქვეყ-  
ნებში იშვიათია ისეთი მამულიშვილი, რომელსაც დავლილი არა ჰქონ-  
დეს თავის მხარე. ილია ბრძენიც ხნიერი ეწვია მოძმე აფხაზთა დედა-  
ქალაქს სოხუმს, სადაც მიიპატიუა და ლირსეული ზეიმი გაუმართა. მას  
იქაურმა ინტელიგენციამ ორივე ერისამ. მეორე ჩვენს მოამაგეს რაჭა-  
ში მასპინძლად გაუხდა ერის მშრომელი ნაწილი. ამან ითავა ამ მამუ-  
ლიშვილურ საქმის გაძლოლა და დიდებულადაც შეისრულა გულის  
ნატვრა-წადილი. მოგეხსენებათ, რომ რაჭველობა განსაკუთრებული თვ-  
ისებებით არის შეჭურვილი: იგი მუყაითი მშრომელია, მომჭირნე, გამ-  
ჭრიანე, დაუზარებელი. რაჭველი მოძრავია: გადის თავის ოლქიდან,  
შრომობს გარედ, ეძებს სალსარს, მოაქვს თავის რაჭაში, იმშვენებს სა-  
ხლს - კარმიდამოს, ვენახსა და ბალს. ამისათვის ყველასათვის სასიამოვ-  
ნო იყო ხოლმე თვალიერება რაჭა-ლეჩიშვილისა. რაჭველ მშრომელს შე-  
ხვდებოდით ყველგან შავი ზღვის ნავთსაღვურებში, სადაც მტვირთვ-  
ელ - მუშათა სამაგალითო ამხანოგაბონი ჰქონდათ მოწყობილი. ასე  
გასინჯეთ, უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიანტებიც კი ჰყავდათ.  
თვით ჩვენს პირველ დედა-ქალაქში რაჭველობა შეადგენდა პურისმც-  
ხობელთა, მზარეულთა, ხელზე მოსამსახურეთა, პატარა სასტუმროს  
პატრონთა წრეს. ეს მშრომელი რაჭველნი უეჭველად ქართული წერა-  
კითხვის მცოდნენი იყვნენ ხოლმე, დიდი მამულიშვილური გრძნობით  
ვითარდებოდნენ ეროვნულ ნიადაგზე, სახეში მუდამ ჰქონდათ ოჯახის  
და სამშობლოს სიკეთე. აი, სწორედ ამ წრეში დაიბადა პირველად სუ-  
რეილი მგოსან აკაკის მოწვევისა რაჭა-ლეჩიშვილი. მათ კარგად ჰქონ-  
დათ გათვალისწინებული, ვის იწვევდნენ და რამდენად სათაყვანებე-  
ლი იყო იგი ყველა ქართველისათვის. მათში თაოსნათ გამოვიდა პურის  
მცხობელი მწიგნობარი იობა ისაკაძე. თანამოაზრებმა და თანამგრძ-  
ნობებმა მრავლად დაუჭირეს მხარი, აღჭურვეს სრული უფლებით და  
დაულოცეს გზა საპატიო საქმის შესასრულებლად. მას გვერდში ამოუ-  
დგა განსვენებული მწიგნობარი ხოსიკო მერკვილაძე — ეს განსაკუთ-  
რებული მქადაგებელი მშრომელ ხალხში ქართულ მამულიშვილობის  
იდეალისა. ამათ მიჰმართეს „თემის“ რედაქტიას და მის თანამშრომლე-  
ბს და საქმეც გაიჩარხა. მოგზაურობა გამოვიდა მართლაც საგანგებო



და უბრალო. გამოსავალ წერტილად დასახული იყო მეორე ჩვენი ჯერადა ქალაქი ქუთაისი — ეს მუდმივი ბუდე ყოველგვარ ქართულ ნაციონალურ აღტყინებისა. აქ დამზადებული იყო კარგად მოწყობილი ჩასაჯდომი ეტლი, ნაირ-ნაირ შტოებით და ყვავილებით შემკული გამძლე ცხენებით და გამოცდილი მეეტლით. მოპატიუებული იყო აგრეთვე კინოპარატის მქონებელი გ. ამაშუკელი, რომელიც შეუერთდა ეჭ-სკურსიას. ქუთაისიდან გამოსვლის წინადღეს ბოტანიკურ ბაღში „ფერმაზე“ მთელი ამალა მგოსნისა წარსდგა მის წინაშე. თვითეული წევრი ცალკე სალამს აძლევდა. სურათი დამსწრეთათვის ჩინებული იყო. სამწუხაროდ კინოპერატორს მარცხი ეწვია და ფილმიდან ამოსჭრეს ეს ადგილი. მე შემრჩა მხოლოდ ერთი სულ პაწაწკინტელა ნაჭერი, რომელიც სამახსოვროდ ბ. ამაშუკელმა გადმომცა. ეს სამური ნობათი სრულებით შემთხვევით ლტოლვილობის დროს თან გამომყვა. ოდესმე დავბეჭდავ. მეორე დღეს დილა აღრიანა მგოსანი მხლებლებითურთ გაემართა დაბა ონისაკენ. ბ. ჯიბო წერეთელი არ მოეშვა ძვირფას მგზავრს და მიიწვია ამალითურთ თავის ბინაზე ჭომაში. ყავა-ჩაი ხაჭაპურით და სხვა და სხვა ჩვენებური ნამცხვარით გაუმასპინძლდა უხვი და ტკბილი მოსაუბრე მასპინძელი ყველას. თითქმის ზეზე მდგომარებმა გამალებით მოვულეთ ბოლო საუზმეს და ხელახლა შეუდექით გზას. გზაში მჭიდროდ მოსახლე ადგილებში გვხვდებოდა მრავალი ხალხი ადგილობრივი სახელმძღვანელო კომიტეტის მეთაურობით. ყველგან ჰმეფობდა წესი და რიგი. კუთხეები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს წრფელ გრძნობათა გამოთქმასა და სტუმართმოყვარეობაში. გზაში დიდს მოგზაურს ძალიან მოეწონა ადგილი „საზღვარა“, რომელიც ჰყოფს ქუთაისის და ლეჩეუმის მაზრებს. მშვენიერმა მდებარეობამ მოპენიბლა. პირველი შესამჩნევი შეხვედრა მოემზადებინა მექვენას. თავი მოეყარა დიდძალ ხალხს ახლო-მახლო სოფლებიდან. დიდხანს მოგვიხდა აქ გაჩერება, სანამ შემუშავებული გეგმა სისრულეში არ იქმნა მოყვანილი. როგორც კი გავშორდით მექვენას, მივუახლოვდით სოფელ ტვიშს, სადაც განთქმული იყო სემირანა ახვლედიანის დუქანი ბალითურთ. განცვითრებით შეჰყურებდა ჩვენი მგოსანი თვალუწვდენელ ამაყ მწვერვალს „ხვამლს“, რომელზედაც სახალხო გადმოცემით მიჯაჭვული ყოფილა ამირანი. ამ კლდის ნაპრალებში ზგატკეცილის გაკეთებამდე რიონის პირას მიიმართებოდა მეტად ვიწრო „გზა“, ხიფათების ამტეხი და შიშის მომგვრელი. ამ გზის ქვეშ დროგამოშვებით — უფრო წყალდიდობის დროს — გვირაბიდან დიდის შხუილით და ქუხილით გამორბის — უთუოდ ახლაც — ეგრედ წოდებული ღრუდო. სიტყვამ მოიტანა და უნდა ვსთქვა, რომ რაჭა-ლეჩეუმში წყლის ჩამოშხუილებას მრავალი სახელწოდება ეთვისება, მაგ.: შხივი, ჩაქუხი, ჩანჩქერი, ჩახრიალა და სხვ. უნებლიერ გახსენდება ჭაპანწყვეტით მომფიქრალი ჩვენი მთარგმნელები, რომელთაც ვერ მოეძებნათ ნამდვილი შესატყვისი რუსული სიტყვა „ვოდოპატისათვის“ და პირდაპირ „წყალვარდნილად“ თარგმნიდნენ. მათ უნდა სცოდნოდათ სამშობლოს მთაგორიანი ადგილები და მაშინ ადვილად მოსძებნიდენ საჭი-




რო სახელს. მექვენას შემდეგ დიდის ამბით დაგვხვდა სადგური სოფ. ტერჯიშვილი პანა. აქაურმა შეძლებულმა ვაჭარმა მალხაზა ალავიძემ სამაგალითო დაწვედრა მოუმზადა აკაკის. ლაჯანურა — მდინარეზე, რომელიც აქა ჰქმნის უმშენებელის ხეობას და ლაილაშ-ცაგერ-სვანეთისაკენ გზასა ხსნის, მასპინძლებს გაემართათ თევზის ჭერა. ალპანა ჩქარა მივატოვეთ. მიჰყრობილი ყურადღებით გაუარეთ უდაბნო „საირმეს“ კლდეებს, რომელნიც ვეებერთელა ბუნებრივ სვეტებს წარმოადგენენ. აქ კლდეებს შუა ამოდის კვამლი, ქვები გამურულია, ზამთარში თოვლი არ ჩერდება — დნება მაშინვე. გადავლახეთ საირმე, დავეშვით ქვევით და მივედით სოფელ ჭრებალოს ანუ ტოლის საფოსტო სადგურს, რომელიც მდებარეობს ასკის წყალზე რაჭისა და ლეჩხუმის საზღვარზე. ამ ბოლაზ ადგილას, როგორც მას ეძახიან ადგილობრივი მცხოვრებნი, სულ მოკლე ხანში გაემართათ აფთიაქი, საავადმყოფი ქსენონი, საკრედიტო დაწესებულება, ფოსტა-ტელეგრაფი, სკოლა და წიგნთსაცავი - სამკითხველო. ეს სოფელი დღითი დღე იზრდებოდა, აღარ სჯერდებოდა სოფლის სახელს და დიდი დაბისკენ მიისწრაფოდა.

ამ ჭრებალოში გამოდიან რიონ-გალმა მხრელები, სოფ. ბაჯის და სხვა სოფლების მცხოვრებნი. ამიტომ მგოსნის დასახვედრათ დიდძალი ხალხი შეურილიყო. სოფლის შესავალში ამართული იყო საზეიმო დაწვედრა. ძველმა მწერალმა, გაზ. „დროების“ თანამშრომელმა, ენა-მჭედრობით განთქმულმა ქაიხოსრო გელოვანმა მიჰმართა მშვენიერი სალამით. მან სთქვა, სხვათა შორის — ეს კარგად დამამახსოვრდა — შემდეგი: „დიდი რუსთველის შემდეგ ქართულმა მწერლობამ დიდხანი იბერწა, რომ ბოლოს შენ, მგოსანო, მოჰვლენოდი სამშობლო ქვეყანასო!“ მაღალმნიშვნელობის სიტყვებით შეკაზმულმა სიტყვამ მსმენელნი განაცვითრა. აკაკის ეტყობოდა დიდი კმაყოფილება. თავი იჩინეს აგრეთვე ახალგაზრდებმაც. ტოლა-ჭრებალოს შემდეგ გავიარეთ სოფ. ხვანჭკარა და მისი განთქმული ვენახები, სადაც აყენებენ შესანიშნავ ყიფიანის ანუ ალექსანდროულის ლვინოს. შევეღით სოფელ სადმელის წყეულ ვიწროებში, სადაც, მიუხედავად გზა-ტკეცილისა, ისეთი ტლაპო იცის, რომ გასვლა საშიშია. საბეღნიეროდ აკაკის მოგზაურობის დროს გზა მშრალი აღმოჩნდა. მგოსნის მაყრიონი დიდის ზეიმით გაჭიმული მიღიოდა. უცებ აკაკის ეტლი გააჩერა ერთმა მომავალმა დარბაისელმა უცხო აღამიანმა, ტურისტათ გამოწყობილმა, რომელსაც ბლომად მოსდევდა ახალგაზრდობა; აგრეთვე უცხოელი. მეთაური მივიდა აკაკისთან და მოახსენა: „ონიდან მოვდივართ, გზადაგზა გვხვდებოდა მრავალი ხალხი, რომელიც თქვენს მოლოდინში მთელი დღე გზის პირას არის გაჩერებული. ცხადია თქვენ დიდი ლვაწლი მიგიძლვით, რომ ხალხი ასე გაფასებთ. ნება მომეცით ხელზე გეამბოროთ.“ ნება უცხომ არ მიიღო. ეს პირი ხარკოველი პროფესორი გამოდგა, რომელიც სტუდენტბს მოუძღვებოდა. მან ხარკოვში დაბრუნებისას თავის შთაბეჭდილება გაზეთში მოათავსა. სამწუხაროდ მეხსიერებამ მიღალატა: აღარ მახსოვს არც გვარი პროფესორის, არც სახელი გაზეთის.

(გაგრძელება იქნება)

გრ. დიასამიძე



## ჩემს გრალებები

რადგან მენშევიკების ბლოკში მყოფ ნაციონალისტურის მიმართულებებმა უურნალ „კავკაზ“-ის წინააღმდეგ მთავარ თეორეთიკოსად ბატონი მანველიშვილი წამოაყენეს, რადგანაც ამ მიმართულებებმა შეაქეს რა ბატონი მანველიშვილის ბროშურა, ამით კვერი დაუკრეს მასში წამოაყენებულ დებულებებს, ჩვენ იძულებული ვართ განვაგრძოთ მასთან პოლემიკა, თუმცა ეს ჩვენთვის სრულებით საინტერესო არის. უპირველესად ყოვლისა ჩვენ შევეხებით მთავარ საკითხს, შესახებ კავკასიის ერთა ურთიერთობისა.

ბატონი მანველიშვილი ამის შესახებ შემდეგს სწერს:

„კავკასიის დამოუკიდებლობის საკითხზედ არ ღირს ბევრის თქმა. ამას დღეს ყველა იცავს. განსხვავება შეიძლება იყოს მეთოდებსა და საშუალებებში, რითაც ესა თუ ის მიმართულება ფიქტობს მის განხორციელებას. ამ მხრივ კი „კავკაზ“-ის არსებითი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ის გვიქადაგებს სწორედ დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო პრინციპს, რათგან მისი „დამოუკიდებლობა“ ეხება მხოლოთ გუშინდელ ბატონებს, ხოლო მის მიერ საკითხის დაყენება ხვალ სხვას გულისხმობს; ცხადია ბატონი ბამბატი ამ მომავალი დამოუკიდებლობის ფორმას კალმით „მეგობრულ ურთიერთობას“ უწოდებს, მაგრამ მას შემდეგ რაც მან ვერ შესძლო სათანადოთ დაესაბუთებინა, რომ ეს „მეგობრული ურთიერთობა“ გახდება საერთაშორისო ღირებულებად, ლაპარაკი ზედმეტია მის „დამოუკიდებლობაზედ“. როგორც ქვემოდ ვნახავთ, ბ. ბამბატმა ვერ შესძლო და ვერც შესძლებს დაამტკიცოს, რომ მთელი ისტორიის განმავლობაში და დღესაც ირან-ოსმალეთის ინტერესებთან შეთანხმებით კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის გამარჯვება ვერ მოხერხდა. მაშასადამე გულისხმობს უარყოფას რუსეთის და მიღებას ირან-ოსმალეთის ორიენტაციის. რამდენად გულწრფელია ის ამაში, ან ასე ერთად „ირან-ოსმალეთის“ ორიანტაცია რამდენად გამოხატავს გარკვეულ პოლიტიკურ მიმართულების ცნებას, ამაზედ არას ვიტყვით“. (საქართველოს საზღვრები. გვ. 21).

მციოთხველი დამეთანხმება, რომ მანველიშვილის ბროშურის ეს ადგილი მეტის მეტად ბუნდოვანია. ჩვენ რამდენიმეჯერ წავიკითხეთ იგი მაგრამ ძალიან გაგვიძნელდა მისი გაგება. ჩვენ შევეცდებით მაინც მივსწვდეთ მის აზრს, ვინაიდან ცხადია, რომ რასმე მაინც ფიქრობდა იგი, როდესაც ზემოლმოყვანილ სტრიქონებს სწერდა.


რომ ამ მიზანს მივაღწიოთ ამისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ის ადგილი ბ-ნ მანველიშვილის ბროშურიდან, რომელიც კავკასიის კონფედერაციას შეეხება და რომელიც წარმოადგენს ზემოლ მოყვანილი ციტატების გაგრძელებას. ბ-ნი მანველიშვილი განაგრძობს:

„სულ სხვაა კონფედერაციის საკითხი. მასზე ღირს შეჩერება. ამ საკითხზედ ემიგრაციაში ბევრი მომხიბლავი ლეგენდა შეიქმნა. ბევ-



რი ითქვა, ბევრი დაიწერა და პაჭტებიც ხელმოწერილ იქმნა, ხოლო არც ერთხელ არავის მიერ ის რეალობის და შესაძლებლობის თვალსაზრისით განხილულ დაფასებული არ ყოფილა. მის ლეგენდარულ ხასიათს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ მასზედ ყველაზედ მეტს მაშინ ლაპარაკობენ კავკასიელები, როცა სამშობლო დაკარგეს, ცხადია, იმ საპატიო, მაგრამ დონკიხოტურ სულისკვეთებით, თითქო კავკასია ერთად აღებული უფრო საყურადღებო გახდებოდა პოლიტიკურ და დიპლომატიურ ბაზარზედ, მხოლოდ მაშინ კი, როცა დამოუკიდებლობა ხელში გვქონდა, მასზე სერიოზულად არავის უფიქრია და თუ ფიქრობდა რაში გამოიხატა შედეგი? სწორედ საწინააღმდეგო მოვლენაში... 1918 წელს დამოუკიდებელი კავკასია ვერ ახერხებს ერთიანობის შენარჩუნებას და იშლება ცალცალკე რესპუბლიკებად. შემდეგაც დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მათ შორის მუდმივი ქიშპობა სუფევდა. მაგ. ისტორიაში პირველია, როდესაც სომეხ-ქართველთა შორის უთანხმოებას ომს (ხაზგასმულია ბ. მანველიშვილის მიერ) უწოდებენ (განა ამი არ იყო? ვ. ე.) და ეს მოხდა სწორედ ამ ხანაში. ეს არა სინამდვილე.“ („საქართველოს საზღვრები“ გვ. 21—22).

ამ ორ ციტატაში მე მკითხველის ყურადღებას ჯერ-ჯერობით ორ გარემოებას ვაჭცევ. ერთი, რომ ორივე ციტატაში ბ-ნი მანველიშვილი ხმარობს ცნებას „კავკასიის დამოუკიდებლობას“, თუ პირველში ნათელი არ არის, თუ რას გულისხმობს ბ-ნი მანველიშვილი ამ ცნებაში, მეორეში ეს ნათელია. მას მხედველობაში აქვს ის კავკასია, რომელიც 1918 წელს არსებობდა, რომელიც ამავე წელს დაიშალა და რომელსაც კავკასია კი არა ამიერ კავკასია ერქვა. აქედან ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ პირველი ციტატაშიც ბ-ნი მანველიშვილი იმავე შინაარსით ხმარობს ცნებას „კავკასიის დამოუკიდებლობას“. აქ ჩვენთვის გაუგებარია ერთი რამ. თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ.-კავკასია, რამოდენიმე ერით დასახლებული, 1918 წ. უნიტარულ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა და მისი დაშლა საბუთს აძლევს ბ-ნ მანველიშვილს ამავე ერთა კონფედერაციის წინააღმდეგ გაილაშქროს, რა ლოლიკა აძლევს ბ. მანველიშვილს უფლებას, რომ მიიღოს იდეა დამოუკიდებელ კავკასიის, როგორც უნიტარული პოლიტიკური ერთეულის. ვინც იცნობს ბუნებას უნიტარული სახელმწიფოისას და აგრეთვე კონფედერაციისას, მან კარგად იცის, რომ კონფედერაცია წარმოადგენს უალრესად სუსტ ფორმას ერთა შეკავშირებისას და უნიტარული სახელმწიფო კი უალრესად მჭიდრო გაერთიანებას. ვისაც დამოუკიდებელ ერთა დაშლა საბუთს აძლევს კონფედერაცია უარყოს, მან მით უფრო მეტის ენერგიით უნდა გაილაშქროს ერთა გაერთიანების წინააღმდეგ უნიტარულ სახელმწიფოს სახით. ბ-ნი მანველიშვილი უარყოთს კონფედერაციას და ლებულობს კი დამოუკიდებელ, ე.ი. უნიტარულ კავკასიას. პასუხს ვიძლევი „კავკაზის“ ხელმძღვანელთა მაგიერ, რომ თუ მართლა მოწინააღმდეგენი უნიტარული სახელმწიფოს იდეის გარშემო შეთანხმდებიან, უურნალი „კავკაზი“ მათ წინააღმდეგობას




არ გაუწევს, თუ უზრუნველყოფილი იქმნა უნიტარულ სახელმწიფო ში შესაძლებელი მაქსიმუმი დეცენტრალიზაციის, ესე იგი თუ უზრუნველყოფილი იქმნა შემაღენელ ერთათვის კულტურულ - აღმინისტრატიული ავტონომია.

მაგრამ ბ-ნ მანველიშვილის მიერ არც კონფედერაციის უარყოფაში და არც კავკასიის დამოუკიდებლობის მიღებაში არავითარი ლოლიკა არ არსებობს, ამიტომ არც ერთს და არც მეორეს არავითარი ლირებულება არა აქვს. ბ-ნ მანველიშვილის აზროვნებას ახასიათებს ისეთი ნაკლი, რომელსაც ფილოსოფოსი კანტი ლოლიკურ ანარქიას უწოდებს და გასაკვირველი არ არის რომ მას სრულებით აკლია უნარი სახელმწიფო ცნებებში გარკვევის.

ჩვენის აზრით არის ერთი ფსიქოლოგიური მიზეზი, რომელიც იწვევს ბ. მანველიშვილის პოზიციაში ზემოდალნიშნულ წინააღმდეგობას: მიუხედავად იმისა, რომ მისი არგუმენტაცია კონფედერაციის წინააღმდეგ თუ კი ესმისალებია, უფრო გამანადგურებელია კავკასიის დამოუკიდებლობისათვის, ვინემ კონფედერაციისათვის, ბ. მანველიშვილი მაინც პრინციპიალურად პირველს ლებულოს და უარყოფს მეორეს. ბ. მანველიშვილს, მე ვფიქრობ, გზა-კვალს უბნევს ის გარემოება, რომ იმ თაობას რომელსაც იგი ეკუთვნის, თავის საკუთარი თვალებით უნახავს კავკასიის დამოუკიდებლობა და მისი დაშლა, მაგრამ რაც შეეხება კონფედერაციას ბ-ნმა მანველიშვილმა იგი მხოლოდ ემიგრაციაში ნახა ქალალდზე დაწერილი, ამიტომ მის შეგნებაში კონფედერაციამ მიიღო ლეგენდარული ხასიათი, ვითარცა „ნაყოფმა დონკიხოტურ სულისკვეთების.“

ბ-ნ მანველიშვილს არ ესმის თუ რა პირობებში მოხდა ის რევოლუცია, რომლის შედეგი კავკასიის დამოუკიდებლობა იყო და რა პირობებში მოხდება ის რევოლუცია რომელსაც ყოველი ჩვენგანი მოელის. ცარისტულ რეჟიმის ხანაში კავკასია, რომელსაც ეწოდებოდა ამიერ კავკასია წარმოადგენდა აღმინისტრატიულ ერთეულს, მასში დასახლებულნი ერნი არ წარმოადგენდნენ სახელმწიფოებრივ სხეულს, მაშასადამე სრულიად ბუნებრივი იყო ის გარემოება, რომ რევოლუციამ ამიერ კავკასია უნიტარულ თვითმართველ ერთეულად გადააჭირა, და შემდეგ კი როცა რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა, ამიერ კავკასია გამოეთიშა რუსეთს, მაშასადამე იგი დე ფაქტო სახელმწიფოდ იქცა, და ამ სახელმწიფოს კი უნიტარული ხასიათი ჰქონდა. რასაკვირველია, პოლიტიკურ წრეებში იყო მსჯელობა როგორც კონფედერაციისა, აგრეთვე ფედერაციის შესახებ, კონფედერაციის საკითხი იყო ამ შემთხვევაში საკითხი სახელმწიფოს დაშლის, ფედერაციის საკითხი კი იყო პრობლემა დიფერენციაციის.

საბჭოთა რუსეთში კი კავკასია კი არ წარმოადგენს პოლიტიკურ სხეულს, არამედ მასში დასახლებულნი ერები. ამ სხეულთ ფორმალურად სახელმწიფო ეწოდბა, საბჭოთა რესპუბლიკა. მაშასადამე რევოლუცია, რომელიც დაანგრევს საბჭოთა რეჟიმს, ავტომატიურად ამ



პოლიტიკურ სხეულთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აქცევს. მაშავერები სადამე მათი შეკავშირების პრობლემა ფედერაციისა და კონფედერაციის სახით იქნება პრობლემა ინტეგრაციის. თუ ყოფილ დამოუკიდებელ კავკასიაში პრობლემა პოლიტიკური დიფერენციაციის არ წარმოადგენდა საჩქარო საქმეს, მომავალ განთავისუფლებულ კავკასიელ ერებისათვის პრობლემა ინტეგრაციის უნდა იქმნას მეორე დღესვე გადაჭრილი, თუ მათ არ სურთ კვლავ სხვისი ლუკმა გახდნენ.

დამახასიათებელია, რომ ბ-ნი მანველიშვილი ილაშქრებს რა კონფედერაციის წინააღმდეგ, არაფერს ამბობს ფედერაციაზე, მიუხედავად იმისა, რომ „კავკაზის“ ჯგუფში ტენდენცია უფრო ფედერაციისაკენ არის ვინემ კონფედერაციისაკენ და იმ შენიშვნაში; რომელიც ბამატმა გაუკეთა ჩემს სტატიას ფედერატიულ გერმანიის ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ, ის პირდაპირ აღიარებს აუცილებლობას კავკასის ფედერაციისას. ბ-ნ მანველიშვილმა კარგი ქნა, რომ ამ საკითხს გაეტა, სედც მეტი მძიმე ტვირთი იყისრა მან და ქვები, რომელიც მან კონფედერაციის ესროლა უფრო ფედერაციას ხვდება ვინემ კონფედერაციას და კიდევ უფრო მეტად იმ დამოუკიდებელ კავკასიის, რომელსაც როგორც ჩვენ ჯავინახავთ ბ-ნი მანველიშვილი ღებულობს. არც ერთხელ, არც ბეორეზე სამწუხაროდ ბ-ნ პ. ა. ულიშვილს წარმოდგენა არა აქვს. ამიტომ მე სრულებით არ მიკვირს, რომ ბ. მანველიშვილს 1918 წლის კავკასიის მთლიანობის დაშლა და კავკასიელ ერთა ქიშპობა კონფედერაციის წინააღმდეგ საკმაო არგუმენტად მიაჩნია.

ეს იმას ნიშნავს, რომ ავადმყოფი სხეულის ექიმობას იმ წამალით ეწინააღმდევო, რომელიც ამ ავადმყოფის განსაკურნებლად არის მოგონილი, იმ მოსაზრებით, რომ სხეული ჯანმრთელი არ არისო. კონფედერაცია სწორედ იმისათვის არის მოგონილი, რომ ერთა შორის ქიშპობას ბოლო მოულოს. ეს კარგათ ეცოდინებოდა ბ-ნ მანველიშვილს, ის რომ კანტს ზეპირად არ „ეტრფოდეს“ და ცდილიყო გაერჩია მისი ორი შრომა, ერთი — სამარადისო მშვიდობიანობის შესახებ, მეორე ეგრე წოდებული „ზნეთა მეტაფიზიკა“. მე მოვიყვან მოკლედ კანტის დებულებათ.

მარტო ის, რომ ადამიანები ერთი მეორეს გვერდით ცხოვრობენ, კანტის შეხედულებით უკვე საკმარისია, რომ მათ შორის ადგილი ქონდეს ურთიერთ კონფლიქტს და შეხლა-შემოხლას. ასეთ მდგომარეობას კანტი ველურ მდგომარეობას უწოდებს და მას ბოლო ელება, როცა მყარდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლება კანონითურთ. ასეთი ველური მდგომარეობა სახელმწიფოთა შორისაც არსებობს და სწორედ სახელმწიფოთა ერთი მეორეს გვერდით არსებობა ჰქმნის მათ შორის მუდმივ კონფლიქტს და ომს. ვინაიდან ომის წყალობით მოპოებული უფლება შეიძლება მეორე ომმა გააუქმოს, ამიტომ ასეთ უფლებას დროებითი, პროვიზუარული ხასიათი აქვს. სახელმწიფოთა შეკავშირება ამ უფლებას საბოლოვო პერემპტორულ ხასიათს აძლევს ისე, როგორც კანონი ადამიანთა მიერ მოპოებულ უფლებას. ეს შეკავშირება შე-

იძლება ორი სხვა და სხვა ხასიათის იყოს, ერთი ნებაყოფლობითი, რომელიც შეიძლება ნებაყოფილობითვე დაიშალოს, ეს ის შეკავშირება არის, რომელსაც თანამედროვე მეცნიერებაში კონფედერაცია ეწოდება და რომელსაც კანტი პერმანენტულ სახელმწიფოთა კონგრესს უწოდებს. მეორე ხასიათის შეკავშირება კონსტიტუციაზეა დამყარებული, მაშასადამე კანონზე, ამ შემთხვევაში სახელმწიფოთა შორის კონფლიქტი იმავე გზით სწყდება, როგორც სახელმწიფოთა მოქალაქეთა შორის კანონით. კანტის სიმპატია უფრო ასეთ ხასიათის შეკავშირების მხარეზე იყო, ე.ი. ის აღიარებდა ფედერაციის უპირატესობას კონფედერაციაზე, მაგრამ ვინაიდან მას მსოფლიო მასშტაბით ფედერაციის განხორციელება ტეხნიკურად შეუძლებლად მიაჩნდა (კანტის დროს არა თუ არ შეიძლებოდა რამდენიმე დღეში მთელი ქვეყნიერების გადაფრენა, არამედ რკინის გზაც არ არსებოდა), ამიტომ აქ ის მხოლოდ კონფედერაციაზე შეჩერდა. თუ კავკასიის მასშტაბით კონფედერაციის განხორციელებას წინ დაპრკოლებები ელობება, მით უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო ეს დაპრკოლებანი მსოფლიო მასშტაბით, მაგრამ კანტიმა იცოდა ის, რაც ბ-ნ მანველიშვილმა არ იცის, რომ პოლიტიკის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დაბრკოლებანი გადალახო და არა მათ წინაშე ქედი მოიხარო.

თანახმად ბ-ნ მაველიშვილის ლოლიკის, თუ წარსულ ისტორიაში უგუნურებას ჰქონდა ადგილი, არ უნდა ვეცადოთ ეს უგუნურება მომავალში თავიდან ავიცდინოთ, პირიქით იგი უნდა დავაკანონოთ და მასზე ჩვენი პოლიტიკა ავაგოთ. უგუნურება იყო, რომ წარსულ საუკუნოებში ქართული სამეფონი და სამთავრონი ერთმანეთს შორის ინტრიგებს და ქიშპობას ეწეოდნენ, საქმე ომამდისაც მიღიოდა, ან მტერთან ომის დროს ერთი ნაწილის მტრის მხარეზე ამოდგომამდის. უბედურება იყო, რომ არ გამოჩენდა სახელმწიფო გენიოსი, რომელსაც თავის რკინის ნებისყოფით ბოლო მოელო ამ დაქუცმაცებისათვის და ერთი ძლიერი სახელმწიფო გამოეჭედა. ბ-ნ მანველიშვილს წარმოდგენაც არ აქვს, რომ ასეთ ამოცანას ისტორია საკუთარ ინიციატივას უყენებს და არა რომელიმე გარედან მოსულ ძიძას, ამიტომ იგი ირან-ოსმალებს იმას აბრალებს, რომ ამ სახელწიფოებმა ძიძის როლო არ ითამაშეს ქართველ სახელმწიფოთა მიმართო. რასაკვირველია, მე სრულებით არ მსურს ამ ორ სახელმწიფოთა წარსული ველური პოლიტიკა გავამართლო, მე მინდა მხოლოდ იმ გარემოებას გავუსვა ხაზი, რომ ერისა და ერთა გაერთიანება არის იმანენტური და არა ტრანსედენტალური ძალის საქმე. ბ-ნი მაველიშვილი რომ პოლიტიკურ სარბიელზე ამ ძველ ეპოქაში გამოსულიყო, ხოლო მის დროს გამოჩენილიყო პირი, რომელიც მიზნად დაისახავდა შეკავშირების იდეის პროპაგანდას, მანველიშვილი მასაც იმ არგუმენტებით გაუმასპინძლდებოდა, რომლებითაც ის დღეს „კავკაზის“ წინააღმდეგ აწარმოებს თავის კამპანიას.

რასაკვირველია, შთამომავლობა ამისათვის მას მაღლობას არ ეტყოდა ისე, როგორც მომავალში, ჩვენ დარწმუნებული ვართ, შთამომა-



ვლობა მას მადლობას არ ეტყვის მის დღევანდელ დეზორგანიზაციის რულ ანტიეროვნულ, მენშევიკოფილური მუშაობისათვის.

სცდება ჩვენის აზრით, მანველიშვილი, როდესაც ის ფიქრობს, რომ წარსულში კავკასიის (უკეთ რომ ვსთქვათ საქართველოს) გაერთიანებას ხელი შეუშალა ირან-ოსმალეთის შემოსევამ. აქ ჩვენის აზრით ნაწილობრივ მაინც არეულია ერთმანეთში შედეგი და მიზეზი. ჩვენის აზრით დაქუცმაცება კი არ იყო შედეგი შემოსევის, არამედ შემოსევა და საქართველოში არხეინად ნავარდი შესაძლებელი იყო სწორედ ამ დაქუცმაცების, ფეოდალურ ანარქიის მიზეზით. აქ ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენ ვსცდებოდეთ, ვინაიდან ჩვენ არ გაგვიწევია ამ საკითხის დეტალური სტუდია. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანემოთ ბ-ნ მანველიშვილს, როდესაც იგი ამიერ კავკასიის დაშლას და საქართველოს უბედურებას ოსმალეთს აწერს, ვინაიდან აქ ჩვენ თვითონ ვიყავით მოწამე ამ ისტორიის. მხოლოდ როდესაც ჩვენ უკეთებთ წარსულ საუკუნეების ისტორიას ინტერპრეტაციას, რომელიც მანველიშვილის შეხედულებას ეწინააღმდეგება, ჩვენ სხვათა შორის ერთ დოკუმენტს ვეურდნობით, რომელიც ჩვენის აზრით ძალიან მჭერმეტყველურად ღალადებს იმას თუ რა ტრალიკული როლი ითამაშა ჩვენს წარსულში იმან, რასაც ერთხელ ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა ტფილის უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში საუბრის დროს, რომლის მოწამე ჩვენ ვიყავით, „უკაცობა“ უწოდა. ეს დოკუმენტი არის 1783 წელს ირაკლის მიერ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დამატება. იქიდან სჩანს, რომ ირაკლი რუსეთს სთხოვდა ექვს ზარბაზანს და ორ ბატალიონ ჯარს. გული მიკვდება, როდესაც ამ დოკუმენტს ვკითხულობ ხოლმე. რამდენად სუსტი უნდა ყოფილიყო საქართველო, რომ მას თავის სუვერენიტეტზე ექვსი ზარბაზნისა და ორ ბატალიონისათვის უნდა ეთქვა უარი! ან რამდენად სუსტნი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი მტერნი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ექვს ზარბაზნით და ორ გადისციპლინებულ ბატალიონით მათი მოგერების მოწყობა!

კავკასიის ერთა მჭიდრო შეკავშირება, ე.ი. ფედერატიულ სახელმწიფოს შექმნა, წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, თუ მათ რა-საკვირველია, სერიოზულად სურთ დამოუკიდებლობის პოლიტიკის გაგრძელება. ორში ერთი, ან მათ საკუთარი შეკავშირებული ძალებით უნდა შესძლონ კავკასიონის დაკეტა, სამუდამოდ უნდა უზრუნველყონ კავკასიის საზღვრები ჩრდილოეთის ტალღისაგან, ან უნდა აღიარონ, რომ ისინი მომწიფებულნი არიან მხოლოდ მონობისათვის. ამ ამოცანის გადაჭრას ვერ შესძლებს კონფედერაცია, ამისათვის საჭიროა სწორედ ფედერაცია.

კონფედერაცია — ეს უფლებრივი ურთიერთობაა. ამ ურთიერთობაში მყოფ სუვერენულ სახელმწიფოთ ყოველთვის შეუძლიანთ ეს ურთიერთობა გააუქმონ. ფედერაცია — ეს უკვე გულისხმბს არა მარტო ურთიერთობას, არამედ აგრეთვე უფლებრივ სუბიექტს ცენტრალურ ხელისუფლებას, სუვერენულ ნებისყოფით აღჭურვილს. აქ ბა-

ტონობს კანონი, რომელიც აბსოლუტურად სავალდებულოა, როგორც  
მოქალაქეთათვის, აგრეთვე კავშირში მყოფ ცალკე პოლიტიკური დოკუმენტის  
თეულთათვის. მაშასადამე კავკასიის ერთა კავშირში ჩვენ ვგულისხმ-  
ობთ სუვერენულ კავკასიურ სახელმწიფოს. მაშ რაში გამოიხატება აქ  
დამოკიდებულება ოსმალეთისაგან? თუ ოსმალეთი ეწინააღმდეგება,  
როგორც ბ. მანველიშვილი მოგვითხრობს კავკასიის კონფედერაციას,  
მით უმეტეს ფედერაციას, მაშ ხომ აშკარაა, კავკაზის დირექტორი ბ.  
ბამმატი არ გამოდის ოსმალეთის ინტერესებიდან, როდესაც იგი იცავს  
იდეას კავკასიის ერებისას.

თავი და თავი საბუთი ყოვე ლპოლიტიკურ შეკავშირების, მაშასა-  
დამე პოლიტიკური დაქუცმაცების ლიკვიდაციის არის ის, რაც პოეტ-  
მა აკაკიმ შემდეგ სიტყვებში გამოხატა: — „ერთობა ჩვენთვის ტახტია,  
მტრებისთვის სახრჩობელაო“. — თუ უწინ მთავარი კავკასიის დამრ-  
ღვევი ტალღა სამხრეთიდან მოდიოდა და მისი პირველი მსხვერპლი  
ჯერ სომხეთი და მერმედ კი საქართველო ხდებოდა, დღეს ხომ ეს მდ-  
გომარეობა შეცვლილია. დღეს ასეთი ტალღა ხომ ჩრდილოეთიდან მო-  
დის და პირველი მისი მსხვერპლი ის ერი ხდება, რომელსაც ბამმატი  
ეკუთვნის, მაშასადამე სრულიად ბუნებრივია, რომ შეკავშირების, ურ-  
თიერთშორის კავკასიაში აბსოლუტურ სოლიდარობის იდეის ფანატი-  
კოსად ამ ერის შვილი ბამატი გამოდის, და მართლა საჭიროა ან ჰეკუ-  
ით ავადმყოფობა ან ბოროტი ნებისყოფა, რომ ამაში აღამიანმა მტრ-  
ის სამსახური დაინახოს. ბ.ნ მანველიშვილმა იცის, რომ ენას ძვალი  
არა აქვს დ ქალალდი ყველაფერს აიტანს, ამიტომ „კავკაზის“ პოზი-  
ციის წინააღმდეგ იგი არ უფრთხილდება არავითარ არგუმენტს, რაც  
უნდა აბსურდული იყოს იგი. აი, მაგალითად, ერთი მისი არგუმენტა-  
განი: „ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ კავკასია განთავისუფლდა  
და კონფედერაცია განხორციელდა. ვინ მისცემს გარანტიას მოკავში-  
რე მუსულმანობას იმის შესახებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მის მეზო-  
ბელ ირანთან ან ოსმალეთთან კავკასიას ომი არ დასჭირდება. რანაი-  
რი მდგომარეობაც არ უნდა გვქონდეს ჩვენ მათთან, რომელ ჰეკუათ  
მყოფელს მოუვა თავში აზრად, რომ ასეთი ზავი სამარადისო იქნება. როგორ  
შეიძლება ჩვენი ინტერესები მუდამ დააკმაყოფილონ მათ, ან  
როდემდე შეიძლება მათ წითელი კვერცხები ვუყაროთ! და ამ დროს  
რას იზამს აზერბეიჯანი ან იგივე ბამატი, თოფს ესვრის დღეს მის კე-  
თილის მყოფელს? ამისათვის დადებით პასუხს 1938 წლამდე ვერც  
მოქმედებაში და ვერც რაიმე გამოცემაში ვერა ვხედავთ, საწინააღმ-  
დეგოს ათასს.“ (გვ. 25.)

სამწუხაროა, რომ ბ. მანველიშვილს, რომელიც ტრაბახობს, რომ  
ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტშია გაწვრთნილი, დღემდის ვერ  
უსწავლია ის ელემენტარული ჰეშმარიტება, რომელიც შეიძლება ით-  
ქვას, თავი და თავია, განსაკუთრებით აკადემიურად განათლებულ კა-  
ცისთვის: ვისაც სურს ამა თუ იმ საგანზე მსჯელობა, მას ამ საგანზე  
წარმოდგენა მაინც უნდა ჰქონდეს. ვინც მაშასადამე ეხება კონფედე-



რაციის პრობლემას მან უნდა იცოდეს თუ რა არის ბუნება კონფედერაციის და რით განსხვავდება იგი სახელმწიფოთა სხვა სახის შეკავშირებისაგან, კერძოდ ფედერაციისაგან. მართლაც რა საქმე უნდა ექნეს კავკასიის კონფედერაციას ბამატთან, როგორც თოფის მსროლელთან, ე.ი. როგორც უბრალო მოქალაქესთან? კონფედერაცია ხომ სახელმწიფო არ არის, არამედ სახელმწიფოთა შორის არსებული ხელშეკრულებითი ურთიერთობა. როგორც გერმანიის სახელგანთქმული სახელმწიფო მეცნიერი ამბობს, კონფედერაცია, წინააღმდეგ ფედერაციისა უფლებრივი სუბიექტი კი არ არის, არამედ უფლებრივი ურთიერთობა. მაშასადამე კავკასიის კონფედერაციას ბამატთან როგორც მოქალაქესთან საქმე არ ექნება. მასთან საქმე ექნება მხოლოდ კონფედერაციაში მყოფ მის სამშობლოს, მაშასადამე მთიელთა სახელმწიფოს; ამ შემთხვევაში ის იძულებულია იმოქმედოს არა თავის სურვილისამებრ, არამედ თანახმად იმისა, რასაც მას მისი სახელმწიფო უბრძანებს. მხოლოდ შესატლებელია და ჩვენის აზრით აუცილებელიც, რომ კავკასიის კონფედერაციას საქმე ექნეს ბამატთან, როგორც მის სახელმწიფოს სუვერენულებისყოფის გამომხატველ ორგანოს წევრთან, მაშასადამე ამ შემთხვევაში საქმე ექნება კონფედერაციას მთიელთა სახელმწიფოსთან შის ორგანოს სახით. რასაკვირველია, კონფედერაციაში შესაძლებელია მოხდეს უთანხმოება შემაღენელ სახელმწიფოთა შორის ამა თუ იმ საკითხის შესახებ, ვინაიდან იქ ერთის შეხედულება მეორისათვის სავალდებულო არ არის. იმ პაქტის პროექტში, რომელიც ემიგრაციაში მენშევიკურმა ბლოკმა შეიმუშავა კავკასიის კონფედერაციაში საკითხი ერთხმად სწყდება, რაც კონფედერაციისათვის მაინც და მაინც სავალდებულო არ არის, მაგრამ სრულიად ბუნებრივია. თუ, მაშასადამე, კავკასიის კონფედერაციის წინაშე ომის საკითხი წამოიჭრება ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, მისთვის სავალდებულო იქნება ამ საკითხის შესახებ შეთანხმების მიღწევა. შეიძლება ეს არ მოხდეს, შეიძლება აქ კონფედერაციაში თავი იჩინოს მისმა ბუნებრივმა სისუსტემ და იგი დაიშალოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონფედერაციის იდეა უნდა იქნეს უარყოფილი, არამედ მხოლოდ იმას, რომ თუ კავკასიის სახელმწიფოთა შორის თავიდანვე უფრო მჭიდრო კავშირი ვერ მოხერხდა, ვინემ კონფედერაცია, მათ უნდა ეცადონ, რომ ეს კონფედერაცია რაც შეიძლება მალე ფედერაციად იქცეს. ყოველშემთხვევაში ბევრად უკეთესია, რომ კავკასიის სახელმწიფონი კონფედერაციის სახით მაინც იყვნენ შეკავშირებული, ვინემ ერთმანეთის პირისპირ იდგენ ვითარცა მაქს შტირნერის ეგოისტები მათ საკუთრებითურთ.

მხოლოდ თანახმად იმ გეზისა, რომელიც „კავკაზის“ ხელმძღვანელ ბ-ნ ბამატს აქვს აღებული, კავკასიის ერთა შეკავშირება უნდა მოხდეს არა საგარეო უფლების, ე. ი. კონფედერაციის, არამედ სახელმწიფო უფლების, ე.ი. ფედერაციის ნიადაგზე. ამ შემთხვევაში ომისა და ზავის საკითხს სწყვეტს ცენტრალური სუვერენული ფედერალური ხელისუფლება, ეს გადაწყვეტილება კი სავალდებულოა ნორმალურ ნიადაგზე

აგებულ სახელმწიფოში ყოველ მოქალაქისათვის, რაც უნდა არა სასურათოდ არა რველი იყოს იგი არსებითად მისთვის. თუ კონფედერაციაში სახელმწიფო ეთანხმება ან არ ეთანხმება ამა თუ იმ ნაბიჯს, ფედერაციაში მოქალაქე ვალდებულია არა დაეთანხმოს არამედ დაემორჩილოს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას.

ბამატის პროგრამაში ხომ მარქსისტული სახელმწიფო არ შედის, საღაც კანონის ალაგს პარტიული კომიტეტების და საბჭოების რეზოლუციები იქნერენ, საღაც მაშასადამე ტახტზე რევოლუციონური ანარქიაა წამოსკუპული. აი სწორედ ამ რევოლუციონურმა ანარქიამ წააგო 1918 წელს ამიერ კავკასიის ბედ-ილბალი. ბ-ნ ბამატის სრულებით არ აქვს მხედველობაში მომავალ კავკასიის ფედერაციის სამხედრო დაცვის საქმე სახალხო გვარდიის პრინციპის ნიადაგზე ააგოს, ესე იგი, მასში მიღიტარული ანარქია გაამეფოს. მაშასადამე ბ-ნ მანველიშვილის არგუმენტები მთლიად უმეცრების ნაყოფია, და თუ ბ-ნ გრიშა ურატაძესათვის სავალდებულოა იგი, სრულიად არ არის ბ-ნ მანველიშვილისათვის სავალდებულო; არის დარგი და ფრიად კეთილშობილური, რომელშიც ბ. მანველიშვილს სწორედ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის წყალობით უმეცრება გადალახული აქვს, მაგრამ სამწუხაროდ მას აკლია შესაფერი მორალური ძალა, რომ ამ ბედნიერ საძირკველზე ლაბაზი შენობა ააგოს; იაფ ფასიან ტაშებისა და პოპულარობის სურვილით გატაცებული, ის კიდებს ისეთ საქმეს ხელს, რომლისათვის მას არც თეორეტიული მომზადება და არც პრაქტიკული გამოცდილება აქვს, ის იმეორებს იმ ფატალურ შეცდომას, რომლის წინააღმდეგ ფილოსოფოსმა პლატონმა თავის დროზე გააფრთხილა კაცობრიობა. ის, ამბობს პლატონი (მომყავს ზეპირად და ამიტომ დააახლოვებით), ვისაც თავის ხელობა აქვს, რომელიც იცის და უცნობ საქმესა ჰკიდებს ხელს, რადგან თავისი ხელობა მას პოპულარობას არ ანიჭებს, ემსგავსება იმ ქურდს, რომელიც ციხიდან იპარება და თავს სასახლეში იმალავსო.

(გაგრძელება იქნება).

### ვ. ემუსვარი

#### შეცდომის გასწორება:

„კავკასია“-ს მე-5-თე ნომერში, გვ. 21, სტრიქონი მე-14 ქვეიდან, ბ-ნ ვლ. ემუსვარის წერილში, დაბეჭდილია: „ძველ ფილოსოფოსებს“, უნდა იყოს: „ჩვენ ფილოსოფოსებს.“



## ისევ პ. 6. უორდანია და მისი „ეროვნული ფრონტი“

ბატონი უორდანია და მისი ფრონტი არა სცხრება. მიუხედავად იმ მარცხისა რომელიც ბ-ნ უორდანიას ახლად წამოწყებულ კომბინაციებში შეემთხვა, ის მაინც თავისას არ იშლის და ზოგი შინაურის თუ გარეულის მოსატყუილებლად, ელვის სისწრაფით იცვლის ქურქს.



ამ უურნალის ფურცლებზე, ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა, ბაჟურა  
რდანიას ზრახვათა მხილების მიზნით, მკითხველისათვის გაგვეცნა — ც.  
გიორგი გვზავას „საქართველოსი“ და „ბრძოლის ხმის“ ნაწერები.

მაგრამ ამ მხრივ ყოველივე სიღინჯეს მოკლებული და გაოცების  
გამომწვევი გახლავთ „დამოუკიდებელი საქართვლო“ს უკანასკნელი  
მე-146 ნომერი. კითხულობთ ამ უურნალს და თქვენ თვითონ გრცხვე-  
ნიათ შიგ მოთავსებულ წერილების ავტორთა მაგიერ. ფიქრობ თუ რამ  
დააკარგვინა ამ ხალხს სწორწონაობა და სულიერი სიმშვიდე, რომ ასე  
ყირაზე აყენებენ ყველაფერ იმას, რაც მათ 145 ნომრის განმავლობა-  
ში უწერიათ.

შეუძლებელია პატიოსან, მიუდგომელ ქართველ ემიგრანტს სირც-  
ხვილი არ მოგვაროს მისი უკუღმართი და ურიგო თანამემამულების  
ასეთნაირად გაშიშვლებამ.

ნიადაგ დაკარგული, იდეურად და პოლიტიკურად გაკოტრებუ-  
ლი ბ. უორდანია და მისი კამარილია, თავის გადარჩენის მიზნით არ  
ერიდება დასწვას ყველაფერი ის რასაც ეთაყვანებოდა და ეთაყვანოს  
იმას, რასაც გუშინდღლამდის სწვამდა.

ჩვენ არა ერთხელ გვიმხელია მიზეზი ასეთი ფერისცვალბისა. დღ-  
ეს კი თვით ბ. უორდანიას ოფიციალური უურნალი „დამოუკიდებელი  
საქართველო“ გვაძლევს მისი პატრონის ასეთნაირი საქციელის განმა-  
რტებას.

ბ. უორდანია ძალიან გვიან მიხვდა, რომ მის მთავარ საზრუნავ სა-  
განს მისი „ეროვნული ფრონტის“ სისუსტე შეადგენს.

ან რა პრესტიუი უნდა ჰქონდეს ბ-ნ უორდანიას ქართულ და კავკა-  
სიურ საქმეების გასაძლოლად, როდესაც მის „ეროვნულ ფრონტის“ გა-  
რეშე დარჩენილნი არიან ქართული ეროვნული ბანაკის საუკეთესო  
წარმომადგენელნი და ერთობ ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლე-  
სობა.

ამ გარემოებით აიხსნება გოდება, რომელიც ისმის „გაუტეხელ ერ-  
ოვნულ ფრონტის“ შესახებ, ხელმოუწერელ წერილებში — „ოცი წლ-  
ის გასწვრივ“ და ბ. ს. ფირცხალავას წერილის შემდეგ სიტყვებში: —  
„ჩვენი ემიგრაციის მაგალითიც საკმაო მასალას გვაძლევს თუ რა მნი-  
შვნელობა აქვს ერთობას. ყველა ვხედავთ, რომ ერთმანეთთან დავაშ  
და ბრძოლაშ გადაიტანა მთელი ჩვენი ენერგია, ჩვენმა შეუთანხმებლო-  
ბამ და დაშლილობამ უცხოეთში წონა დაგვიკარგა; საჭირო პატივი  
დავკარგეთ მეგობრებსა და მტრებში. ჩვენმა კავკასიელმა მეზობლებ-  
მაც სხვანაირად დაგვიწყეს ყურება — ზევიდან. (კურსივი ჩვენია)

აი, საღამდის მიუყვანია თურმე ბ. უორდანიას და მის ფრონტს ქა-  
რთული საქმე, რომ ჩვენი მეზობლებიც კი თურმე „ზევიდან“ გვიცე-  
რიან. ასეთი აღსარების შემდეგ, ბ. უორდანიას მეტი არაფერი დარჩენია,  
რომ ქართულ საქმეს სამუდამოთ ჩამოშორდეს და თავი შეიქციოს თუ-  
ნდა იმ წმინდა „ლიტერატურული“ მუშაობით, რომლის ეში მან ბო-  
ლო დროში გამოიჩინა.

მაგრამ ბ. უორდანიას საქართველო არასოდეს განუცდია და უგრძელდენია. მან 45 წელი ქართული იდეის, ქართული მთლიანობის ბრძოლას შეალია და დღეს ქართველობა მისგან ასეთი პატარა სამსახურის გაწევასაც აღარ უნდა ელოდეს. ხოლო თუ დღეს ბ. უორდანია ქართული მთლიანობის საჭიროებაზე მოსთქვამს, ამას ისევ მისი პოლიტიკური კომბინაციები და ბატონობის შენარჩუნების სურვილი ითხოვენ.

მთლიანი ქართული ეროვნული ფრონტი ბ. უორდანიასათვის თვითმიზანი არ არის, არამედ მხოლოდ მთავარი მიზნის მისაღწევი საშუალება. ბ. უორდანიას ამ მთავარ მიზანს მეორე მისი მოკავშირე ბ-ნი ინგილო გვამცნობს. ეს არის ფაშისტური სახელმწიფოების წყალობა, რომელიც ბ. ინსაბატოს აგრეთვე ფაშისტს ბ. უორდანიასათვის არ ემეტება. ფაშისტური, ანტიკომუნისტური ბლოკის სახელმწიფოებისაგან ლოცვა კურთხევის და ინვესტიტურის მიღება, აი, რა არის ბ-ნ უორდანიას მიზანი, აი საით მიიღოტვის ის ასე მოუსვენრად.

დღეს ბ. უორდანიას პოლიტიკა წარმოდგენილი აქვს როგორც დოლი და ეშინიან შეჯიბრება არ წააგოს, ვინმე სხვამ არ მოასწროს დასახულ მიზანზედ. ამ მისწრების სურვილით არის გამოწვეული ის გულამლვრევი ფერისცვალება, რომლის მაგალითს ბ. უორდანია და მისი ფრონტი გვაძლევს. ფაშისტური სახელმწიფოებისაგან წყალობის მისაღებად და ამისათვის ეროვნული ფრონტის შესაქმნელად უარყოფილია ყველაფერი, რასაც დღევანდლამდის ბ. უორდანია უდავო ჰეშმარიტებად ასაღებდა.

დაგმობილია მეორე ინტერნაციონალი, საბჭოთა „ერთა საპყრობილეს“ დამცველი. დაგმობილია ხალხთა ლიგა — გადაყოლილი „უმსგავსო მოვლენებს“. უარყოფილია პრინციპი დემოკრატიულ ქვეყნებზე ორიენტაციისა. „დაუშვებელ არამკითხაობად“ მიჩნეულია დიდ სახელმწიფოთა შინაური რეუიმების ანგარიშის გაწევა და ან „იმაზე თავის მტვრევა, თუ რა რეუიმი დაწესდება განთავისუფლებულ სამშობლოში“ ბატონობის შენარჩუნბის სურვილით შეპყრობილი ბ. უორდანია აღარაფერს ერიდეა და ქართველობის გულის მოსაგებად თავად აზნაურობის და მის შესანიშნავ მეთაურის დიდი ქართველის თავად კ. აბხაზის ხსოვნასაც აღარ ასვენებს. გასაჭირში ჩავარდნილი, დღეს ის მთლიანად იღებს ეროვნული ოპოზიციის პოლიტიკას და ამითი ცდილობს მის განიარაღებას, თავის ფრონტში შეტყუილებას და ასეთი ორნით შეჯიბრების მოგებას.

ქართული საქმის საბედნიეროდ, ბ. უორდანია ვერავითარი ხერხებით დღს ქართულ ეროვნულ ბანაკში ახალ მსხვერპლს ვეღარ იპოვნის. მიუხედავად მისი ასეთი ნაგვიანები და ულაზათო ფერისცვალებისა, ის მაინც რჩება იმ კაცად, რომელიც პასუხისმგებელია ყველა, ჩვენ ქვეყანაზე თავს დამტყდარ უბედურებისა. რჩება აღამიანად, რომლიც 25 წლის მანძილზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას ებრძოდა. იმ აღამიანად, რომელსაც განგებამ, თუ ჩვენმა უკულმართმა

ბედმა, საქართველოს მეთაურობა არგუნა და ან კი, სამშობლოს დია-  
ლი იდეის შეგნებას მოკლებულმა, კვლავ უფსკრულში გადაჩეხა იქნადა და  
ეროვნულ ბანაკისთვის ბ. უორდანია არის ის კაცი, რომელმაც ასე-  
თი სასტიკი მარცხის შემდეგ, უცხოეთში გადმოხვეწილმა ეროვნულ  
ძალების დამშლელი მუშაობა აქ, ემიგრაციაშიც განაგრძო. ბ-ნი უორ-  
დანია არის ის კაცი, რომელმაც საქართველოში, 1924 წლის აჯანყე-  
ბით დატრიალებულ ტრალედიის შემდეგ, სხვა ვერაფერი მოიგონა გა-  
რდა იმისა, რომ სამოქალაქო ომი ექადაგნა და თავის პარტიის გეგემო-  
ნიაზე ეფიქრა. აჯანყებისადმი მიძღვნილ ბროშურაში — „რა მოხდა“  
— ნათლავდა რა ყველა იმას ვინც მის პოლიტიკას კვერს არ უკრავდა  
ფაშისტებად, ბ-ნი უორდანია სწერდა: „ამგვარ ელემენტებთან საერ-  
თო არაფრი გვაჭვს, მათ უნდა ვებრძოლოთ ისე, როგორც ბოლშევიკ-  
ებსო“. „პარტიამ უნდა შეინარჩუნოს როლი გეგემონიისა და თავის  
ირგვლივ შემოიკრიბოს, თავის ტაკტიკის ქვეშ დააყენოს ყველა უკმა-  
ყოფილო ელემენტი და პარტიებიო“-ო.

ეროვნული ემიგრაციისათვის ბ-ნი უორდანია აჯანყების მეორე  
დღესაც ამ მარგალიტების დამწერად რჩება და საქართველოში 1927 წ.  
დაბეზლების წერილებს გზავნის, სადაც ის მთელ რიგ ქართველ ცნო-  
ბილ მამულიშვილების მოღალატეებად აცხადებდა და თავის პარტიას  
მოუწოდებდა ამ ხალხის მომხრეები „არ გააჭაჭანოთ“-ო.

რამდენი რამ უნდა აღვნიშნოთ ბ. უორდანიას მოღვაწეობიდგან,  
რომ ცხად ვყოთ ეროვნული წრეების მასთან თანამშრომლობის შეუ-  
ძლებლობა?! ჩვენ ვიცით, რომ ბ. უორდანია არ დასცხრება და არაფ-  
ერს დაერიდება თავისი კომბინაციების ხორციშესასხმელად. თუ დასჭი-  
რდა, ის ხვალ ფაშისტად მოგვევლინება, ან კიდევ საქართველოს სამე-  
ფოს აღდგენას მოითხოვს, ოღონდ იმ პირობით, რომ დიკტატორი ან  
კიდევ რეგნტი თვით იყოს.

ეროვნულმა საქართველომ ბ. უორდანია და მისი ძალზე შემცირე-  
ბული პარტია თავის საკუთარ ბედს უნდა მიანდოს.

ქართულ ეროვნულ ბანაკის ხმობა უორდანიას ფრონტში შესას-  
ვლელად, უნაყოფოდ დროს დაკარგვაა და ეროვნულ საქმის წინაშე  
დანაშაულიც. ამ ბანაკის მეთაურებმა მათი საუკეთესო წლები ბ. უორ-  
დანიას ანტიეროვნულ მუშაობასთან ბრძოლას შეალიეს და მისი ახა-  
ლი თაობა კი მენშევიკ - ბოლშევიკთა პარტიების სიძულვილეში აღი-  
ზარდა. სცდება ვისაც ჰერი, რომ ბ. უორდანიას კომბინაციები და ფე-  
რისცვალებანი ამ განწყობილებას შესცვლიან. ჩვენ გვაოცებს, რომ ამ-  
ას არ გრძნობენ ბ. უორდანიასთან ფრონტში დარჩენილი პატრიოტები,  
ბ-ნი სამსონ ფირცხალავა, ბ. რ. ინგილო, რომელნიც დღეს „დამოუკა-  
დებელ საქართველოს“ ფურცლებზე ასეთი თავგამოდებით იცავენ ბ.  
უორდანიას. ჩვენ კი სიმართლე უნდა მოვახსენოთ ბ-ნ ინგილოს თუ რა  
უხერხულად ვივრდენით თავი, როდსაც „ფრონტო უნიკო“-ში მისი წე-  
რილის თარგმანი ვიხილეთ. როგორ შეგვენით თქვენ, ბატონო ინგი-  
ლო, იმ პარტიის წევრს, რომელიც თავს დიდ ილიას წევრად აცხადებს,

რომ ნოე უორდანიას აპოლოგია სწეროთ და ის დიდ ქართველ პატრი-  
ოტად გამოაცხადოთ. ან როგორ გეკადრებათ მტკიცება იმისა, რომ ბ-ნ  
უორდანიას უკან მთელი ქართველობა სდგას და ის ამ ქართველობას  
პატივით და ნდობით ოღვეურვილი ჰყავსო. ბ-ნ უორდანიას მიმართ ქა-  
რთულ ეროვნულ წრეების განწყობილების ნიმუშად მე მხოლოდ თქ-  
ვენივე მეგობრების ნაწილი უნდა მოგაგონოთ. ლიდერი იმ ფრაქციისა,  
რომლის წევრი თქვენ ბრძანდებოდით საქართველოს პარლამენტში, ბ.  
სპირიდონ კედია „საქართველოს გუშაგი“-ს პირველ ნომერში 1932 წ.  
შემდეგ დასკვნას უკეთებდა ბ. უორდანიას მოლვაწეობის შეფასებას:


„ყველა ეს გარემობა იმის თავდებია, რომ უორდანიას ჯგუფის პოლ-  
იტიკას, რომელმაც ქართველ ერს ამდენი უბედურება მიაყენა, სამუდა-  
მოდ ფარდა აეხდება, რომ იგი დაჰკარგავს მის გარშემო დაცული სი-  
ჩუმის იმუნიტეტს და საქვეყნო მხილებისა და გმობის საგნად გადაიქ-  
ცევა, ემიგრაციისა და საქართველოს საბედნიეროთ“-ო.

თქვენი მეორე მეგობარი ბ. ალექსანდრე ასათიანი, რომელიც თქ-  
ვენთან ერთად კვლავ ბ. უორდანიას მახეშია გაბმული, თავის ცნობილ  
წიგნში — „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“ — უორდანიას და მისი  
ფრონტის მოლვაწეობას შემდეგ ადგილს უძღვნიდა: „ყოვლივე ამის  
შემდეგ უორდანია-რამიშვილის „ეროვნულ ფრონტთან“ ურთიერთო-  
ბისა და კავშირის საკითხი დგას მხოლოდ იმ წრეებისათვის, რომელ-  
ნიც არ იცნობენ და არ ხედავენ მათს მზაკვრულს მოლვაწეობას ეხლა-  
ნდელ, საქართველოს განმანთავისუფლებელ ბრძოლის ხანაში. ხოლო  
ვინც ყოველივე ეს უწყის, მათთვის ეს ფრონტი წარმოადგენს განუზ-  
ომელ ბოროტებისა და გახრწნილების ჭაობს. ამათთვის მასთან ურთიე-  
რთობის საკითხი სანიტარიის საკითხია და არა პოლიტიკის.“ (კარგს იქ-  
მთ ბ-ნო ინგილო თუ ამ წიგნს თქვენ იტალიელ მეგობარს გადაუთარ-  
გმნით.)

მე ვთიქრობ, ჩვენი შეფასება თუ არა თქვენი ლიდერის და მე-  
გობარის შეფასება მაინც შეგიშლით ხელს, ბ. ინგილო, მომავალში ბ.  
უორდანიას აპოლოგიები სწეროთ და ჩვენ ქვეყანას სამსახურის მაგი-  
ერ ზიანი მიაყენოთ. ამ უურნალის ფურცლებზე ჩვენ მუდამ ეროვნულ  
ძალების მთლიანობას მოვითხოვთ. ეს მთლიანობა აუცილებელი პირო-  
ბაა იმისა, რომ მომავალში ზევიდან არავინ გვიცქიროს და ქართული  
საქმეც გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

ხოლო ეს მთლიანობა ბ. უორდანიას გარეშე უნდა განხორციელ-  
დეს. ბ-ნ უორდანიას ფრონტში ჩატლული ქართველი პატრიოტებისა-  
გან, ჩვენ ამ ფრონტის დატოვებას და ქართულ საქმისათვის ზრუნვა  
მოვითხოვთ. მაგრამ თუ კი ეს პატრიოტები ქართულ საქმისათვის ზრუ-  
ნვის ნაცვლად ბ. უორდანიას დაცვას გადაჰყებიან, მაშინ ვშიშობ რომ  
ეროვნულ ბანაკის ურთიერთობა მათთანაც მხოლოდ-ლა „სანიტარიის  
საკითხად“ არ იქცეს.

მიხეილ კედია



გათუნის, ართვინის და არტაანის საკითხის ირგვლივ

როდის უნდა მოეღოს ბოლო გაუთავებელ მტრობას, შურს, ჯა-  
შუშობას და საზოგადოთ ყოველგვარ ბინძურ საქციელს? გამიგონია და  
დღესაც ძალიან ხშირად მესმის ხოლმე, რომ ჩვენი გენიოსი ილიაც პა-  
რტიული შურის მსხვერპლი გამხდარა. თუ მართლა ამ უბედურ და  
შემაძრწუნებელ შემთხვევას ჭეშმარიტებასთან ოდნავ კავშირი ჰქონდა  
და საქართველოს ღვიძლ შვილს, ბუმბერაზ ილიას თოფი იმისათვის  
ჰქონდა, რომ ის მთელი თავის სიცოცხლე უსამართლობის დაუძინებელი  
მტერი იყო, მაშინ რაღა დავმალოთ, სიმართლის თქმა ყოვლად შეუძ-  
ლებელი ყოფილა და ჩვენი ღირსეული მთავარ-სარდალიც დიდს საფრ-  
თხეში ბრძანებულა, ვინაიდან კეთილ ინება და ას პროცენტიანი სინა-  
მდვილე, ბათუმის, ართვინის და არტავის ბევრისათვის გამოურკვე-  
ველი საკითხი, გაშუქებულად უურნალ „კავკაზის“ ფურცლებზე გად-  
მოგვიშალა.

ჩვენ პატივცემულ ლენერლის განცხადებას ჩემი დასტური არ ესა-  
ჭიროება და კაღნიერებისათვის ბოლიშს ვიხდი, მაგრამ, როდესაც და-  
ხელოვნებული პროვოკატორების, რათა ყოველნაირი პასუხისმგებლო-  
ბა თავიდან აიცილონ, ჩვეულებისამებრ თავიანთი შეცდომები და ცო-  
დვები სხვაზედ გადააქვთ და ამ შემთხვევაში კი საქართველოს ჯარის  
მთავარ სარდალ კვინიტაძეზედ, აქ მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ჩვენ-  
თაგანი, სიმართლის აღსადგენად და ბოროტ პირთა ერთხელ და სამუ-  
დამოთ ასალაგმავათ, ვალდებულნი ვართ თუ კი ვისმე რაიმე საბუთი  
მოგვეპოვება, ზემოხსენებულ საქართველოს ტერიტორიის ნაწილების  
საკითხის შესახებ, დაუყონებლივ საზოგადოებას გავაცნოთ, ისე როგ-  
ორც ეს ინება პატივცემულმა ბატონმა სალირაშვილმა (იხ. „კავკასია“  
№ 2—9).

მეც მახსოვს ის მწარე წუთები, როდესაც საქართველოს მზე კვლავ უბნელდებოდა და მის ღონემიხდილ სხეულს შავი სუღარა ეფარებოდა. თქვენი მონა მორჩილი იმ უამაღ ბათუმის მე-2-რე სანაპირო რაზმში ვსახურობდი. განვაგებდი სოფლებ სართისა და გონიის განყოფილებებს (ზღვის პირად, ბათუმ-ოსმალეთის საზღვარზედ), პირადათკი სოფელ სარპში ვიმყოფებოდი.

17 მარტს 1921 წელს ნაშუადღევის 3 საათზედათ სულ უცაბედათ მეწვია ბათუმის მიმართულებით წამოსული ოსმალოს მრავალრიცხვოვანი რაზმი პოლკოვნიკ ალი-რიზა ბეის უფროსობით. გაკვირვებული შევეკითხე ბატონ პოლკოვნიკს თუ რა იყო მიზეზი მისი ასეთი მოულოდნელი სტუმრობის. მივიღე პასუხი ახსნა განმარტებით, რომ საქართველოს მთავრობამ ბათუმი, ართვინი და არტაანი ჩვენ გადმოგვცაოდა თან გაოცებით დაუმატა, ნუ თუ თქვენ არათერი იცითო? ვინაიდან ამ საკითხის შესახებ არავითარი ცნობა არ მქონდა, აუხსენი ოსმალოს რაზმის უფროს ჩემი ვალდებულობა, რომ უფროსის შეუკითხავად და ნება დაურთველად მათ ბათუმის მხრივ გზას ვერ გაუხსნილი და თან



ვსთხოვე ვითარების გამორკვევამდე წინ მსლელობა შეეჩერებინა. და-  
მთანხმდა თუ არა ჩემი კეთილშობილი მოწინააღმდეგე, დაუყონებლივ  
ტელეფონით ჩემ ბათუმის უფროს მივმართე, რომელსაც მოვახსენე შე-  
ქმნილი მდგომარეობა. ცხადად სჩანდა, რომ უკანასკნელმაც არა იცოდა  
რა და მიბრძანა განკარგულებისათვის დამეცადა.

დაახლოვებით ორი საათის შემდეგ მივიღე ტელეფონოგრამა მთა-  
ვარ სარდლის მკაცრი ბრძანებით, რომ არამც თუ რაზმი, არამედ ერთი  
თურქის ჯარის კაციც არ იყოს გამოშვებულიო. თანახმად ამ ბძანებისა  
მოვახდინე საჭირო თაღარიგი და დავრჩი მოლოდინში.

არ ვიცი ჩემმა თხოვნამ გასჭრა თუ რა იყო მიზეზი, ოსმალოს რა-  
ზმი იმ ღამით სოფელ სარპშივე დაბანაკდა. მეორე დღით სანამ ჩემი  
სტუმრები სამგზავროდ გაემზადებოდნენ, გადმომცეს ახალი ტელეფო-  
ნოგრამა სანაპირო შტაბიდან, რათა მომენტისა რწმუნებული საყარაუ-  
ლოები და საჩქაროდ ბათუმში გამოვცხადებულიყავი. რაც შევასრულე  
კიდევაც.

დავსძენ რა ამ მოგონებას ჩვენი მთავარ სარდლის მიერ გამოჭვე-  
ყნებულ ცნობებს (იხ. „კავკასია“ № 1—8) ვსთხოვ პატივცემულ მკი-  
თხველს, დასკვნა შესახებ იმისა, თუ ვინ ანაწილებდა საქართველოს  
მიწა-წყალს თვითონვე გამოიტანოს და მსჯავრიც მანვე დასდოს.

#### ს. ყრუაშვილი



### უარსის ოლქის ახლო ისტორიიდგან

ამ წერილში მინდა შევეხო საკითხს თუ როგორ გადავიდა ყარსის-  
ოლქი სომხების მმართველობის ხელში და როგორ ჩაუვარდათ არტაა-  
ნის ოლქი ქართველებს. ვფიქრობ, საქართველოს მენშევიკური და სო-  
მხეთის დაშნაკური მთავრობების პოლიტიკის მოგონება ამ დარგში სა-  
ზოგადოებისათვის ინტერეს მოკლებული არ უნდა იყოს.

სწორეთ იმავე 1918 წელს, როდესაც კავკასიის ერებმა თავის და-  
მოუკიდებლობა გამოაცხადეს, სპარსეთიდგან ყარსის ოლქში შემოვი-  
დნენ ინგლისელები და ხელში აიღეს ყარსის, აღზევანის, სურმალის და  
არტაანის ოლქების მართველობა (ოლთისის ოლქს განაგებდა ოსმალე-  
თის მხედრობა).

როგორც ვიცით, ინგლისის სარდლობა შემდეგ ართვინში და ბათ-  
უმშიც შევიდა. ყარსის თურქულმა ინტელიგენციამ, ინგლისელების-  
დახმარებით გამოაცხადა ყარსის ოლქის ანუ „აღმოსავლეთ სამხრეთის-  
რესპუბლიკა.“ მათ შექვემდებრების თავისი პარლამენტი და მთავრობა. ამ რე-  
სპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეთ იყო ეჭიმი ასაღ-ბეი გაჯიევი  
(დღეს, ოსმალეთის ყოველ მოქალაქეს საკუთარი გვარი და სახელი აქ-  
ვს, და მეც მას კვლავ მოვიხსენიებ მისი ახალი გვარითა და სახელით—  
ბაი ესაღ ოკტაი). ამ მთავრობაში არ შედიოდა სერვერ-ბეგ ათაბეგი,



ამ დროს სეპარატიულად ის ახალციხის აჯანყებას ხელმძღვანელობზე განვითარება ყარსის მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ინგლისის სარდლობა და ყარსის მთავრობაც დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს რესპუბლიკა დიდ ხანს ვერ იარსებებდა, მაგრამ მათი მიზანი იყო ეს ოლქი შეენახათ ახალი ოსმალეთისათვის, რომელიც იმ უამადიმდენად სუსტი და ჩამოუყალიბებელი იყო, რომ მისი მართვა - გამგებლობა ვერა სწვდებოდა განაპირა პროვინციებს. სომხეთის პატარა რესპუბლიკას (ერევნის გუბერნია) ყოველმხრივ მომწყვდეულს და ჩაკეტილს თვალი ეჭირა ყარსის ოლქისაკენ და ემუდარებოდა ინგლისელებს ეს ოლქი მათთვის გადაეცათ. როცა ინგლისელებმა განიზრახეს ყარსის დატოვება და ართვინ - ბათუმის ოკუპაცია, მაშინ, მართლაც, ყარსის ოლქი ინგლისელებმა სომხებს ჩააბარეს. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც მთელ ყარსის ოლქში ერთი სომეხიც არ მოიპოვებოდა... განვების დაცინვაც ეს იყო.

1917 წელს და 1918 წლის დასაწყისში ყარსის ოლქში სომხობა ათასობით ითვლებოდა. კერძოთ ოლთისის ოლქში სომხების რაოდენობა ოთხი ათას უდრიდა. 1918 წლის დასაწყისში მთელი კავკასიის ფრონტი მიტოვებულ იქმნა რუსეთის ჯარების მიერ და ყარსის ოლქის სომხებს მფარველათ აღარავინ ჰყავდათ. მე იმ დროს ოლთისის სამხედრო ოლქის უფროსად ვიყავი და არა ერთხელ მქონია თათბირი ოლთისში მათ მეთაურ ეპისკოპოს მესროპიანთან და დაშნაკუცუტიუნის პარტიის ადგილობრივ თავმჯდომარესთან, რომ იმათ იქიდან ჩვენთან — (ამის შესახებ მე ვწერდი „კავკასია“ № 4, „წარსულის გაკვეთილების“ სათაურით) — იქ ჩარჩენილ ქართველებთან და რუსებთან ერთად ევაკუაცია მოეწყოთ. ეპისკოპოსი და დაშნაკულები წინააღმდეგნი იყვნენ არა მარტო სომხების ევაკუაციისა, არამედ ქართველებს და რუსებსაც გვარწმუნებლნენ, რომ ორ-სამ კვირეში ყარსის ოლქში ინგლისელება შემოვიდოდნენ და მთელ ხელისუფლებას ჩააბარებდნენ სომხებს არა მარტო ყარსის ოლქში, არამედ ერზერუმის და ტრაპიზონის ვილაიეტებშიაც. სომხების მეთაურები ფიქრობდნენ, რომ თავიანთი მცირე რიცხოვანი თანამემამულეებით დაიმორჩილებდნენ მრავალრიცხოვან თურქობას ამ ვილაიეტებში. ასეთმა ბეცმა პოლიტიკამ და ყოყლოჩინობამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ თურქობამ ყარსის ოლქის სომხები თითქმის მოსპო და მათი დამხმარე ინგლისელები-კი არსად სჩანდნენ. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ინგლისის სარდლობამ ყარსის ოლქი, მაშინ ჯერ კიდევ სუფთა თურქულის მოსახლეობით, სომხებს ჩააბარა. სომხეთის მთავრობამ ყარსში საგრძნობი რაოდენობის გარნიზონი შექმნა, ჯარს თან გააყოლა აღმინსტრაცია და მაუზერისტების გუნდი. დასვეს ყარსში გუბერნატორი და ის განაგებდა დანგრეულ, თითქმის უმოსახლო ქალაქებს. თანდათანობით მათი ჯარები სხვადასხვა ოლქების ქალაქებშიაც შეჰყავდათ და ამრიგად მართავდნენ იმ ადგილებსაც, სადაც ჯარის ნაწილები ჰყავდათ. სომხური აღმინისტრაცია ძალზედ მკაცრი აღმოჩნდა, რის გამო ადგილობრივი მცხოვრებნი მათ

მართველობას გაურბოდნენ. მაგალითად: ქ. არტაანში სომხებს ჰყავდათ სხვა და სხვა ხარისხის ჯარი, რიცხვით ათასი კაცი, ჰქონდათ ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვეველები და ცხენოსანი მაუზერისტების რაზმი. მიუხედავად ასეთი ძალებისა, სომხები განაგებდნენ მხოლოდ სამხრეთ არტაანს. ქალაქი არტაანი მდებარეობს მდინარე მტკვრის ორ ნაპირზე და როგორც ქალაქს ისე მთელ არტაანის ოლქს შუაზე ჰყოფს. არტაანის ოლქის ჩრდილოეთ ნაწილის მცხოვრებნი თავის თავს თვითონ განაგებდნენ, ზემოთ დასახელებული ყოფილი ყარსის რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის ექიმ ასად ბეგ გაჯიევის მეთაურობით და თავისი პარტიზანებით თავზარსა სცემდნენ სომხებს. ყარსის ბრძენმა გუბერნატორმა არტაანის ოლქის უფროსად დანიშნა პოლკოვნიკი იბრაგიმ ბეგ კადიმოვი (აზერბეიჯანელი მუსულმანი). ყარსის გუბერნატორს ამ სიბრძნეში პოლკოვნიკმა კადიმოვმა გადააჭარბა. ოლქში რაიონების უფროსებად ის ნიშნავდა თავის მიერ ამორჩეულ უფროსებს, მაგრამ ყოველ მათგანს ეს თანამდებობა ფულით უნდა ეყიდა. ასე ნაყიდი თანამდებობის კაცი, რა თქმა უნდა სცდილობდა, რომ თავისი ხარჯი ერთი ათათ აენაზლაურებინა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. მაშინ ამბობდნენ, რომ ამ ძარცვა გლეჯაში პოლკოვნიკ კადიმოვსაც ედო წილი. სხვა ოლქებშიც ალბათ ამაზედ უკეთესი მართვა-გამგეობა არ იქნებოდა. მაგრამ საეჭვო არის რომ ყარსის გუბერნატორს ბ-ნ ყორლანოვს ეს სცოდნოდა. ეს გახლავთ მხოლოდ ერთი ნიმუში სომხების მართველობისა ყარსის ოლქში, სხვა მაგალითებს აღარ მოვიყვან, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, ვინაიდან მე სომხეთის აღმინისტრაციის ბრალმდებლის როლში გამოსვლის არავითარი სურვილი არა მაქვს.

დაუბრუნდეთ მეორე საკითხს, თუ როგორ ჩაიგდო ხელში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ჯერ ჩრდილოეთ არტაანის ოლქის ნაწილი და შემდეგ მთელი ოლქი. როგორც ვიცით, არტაანის ოლქს ზედ აკრავს ახალციხის მაზრა. არტაანის მცხოვრებნი სავაჭროთ მიემგზავრებოდნენ მუდამ ახალციხეში, ისინი ახალციხეში იძენდნენ უმთავრესად ნავთს, საპონს და მარილს (აღზევანის და ოლთისის მარილი უფრო შორს არის მათვეის ვიდრე ახალციხე). არტაანის მცხოვრები მოვაჭრეთა ექსპედიციას, 10 კაცს ხანიორის ულელტეხილის გადაღმა, ახალციხის მაზრაში, თავს დაესხნენ, გაძარცვეს, წაართვეს ზოგს ცხენები, ზოგს ჯორები, გაატიტვლეს, დახოცეს და იქვე ცეცხლი წაუკიდეს. ამ საზარელმა საქმემ ექიმი გაჯიევი აიძულა გაეგზავნა ახალციხეში დელეგატები პოლკოვნიკ ბახში ბეგ მაჩაბელთან, რომ მას ზომები მიეღო ავაზაკების დასაჭერად. მე არ მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო, თუ ვინ ჩაიდინა ეს და რა გამოარკვია ახალციხის საგამომძიებლო ხელისუფლებამ. მხოლოდ ამ უბედურ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული ის, რომ პოლკ. ბალში ბეგ მაჩაბელი, დამთუძნებელი კრების ორი წევრი ბ-ნი ლეო რუხაძე და ბ-ნი გიზო ანჯაფარიძე და ახალციხის მაზრის სოც. დემ. პარტიის მდივანი გაემგზავრენ ფარულად არ-




ტანის ოლქში. მათი მოგზაურობის მისია დამთავრდა იმით რომ უპატიონის ტრონოთ დარჩენილი ჩრდილოეთ არტაანის მცხოვრებთა წარმომადგენის ნლები დასთანხმდენ პოლკ. ბახში ბევ მაჩაბელს, რომ საქართველოს მთავრობას თავისი ხელისუფლება დაემყარებინა არტაანის ამ ნაწილში, პირობით, თუ მათ ოლქის უფროსად დაუნიშნავდენ ერთ ქართველს, რომელსაც ისინი ენდობოდნენ. ოსმალეთის ძლიერი გავლენის მიუხედავად ამ ოლქში სამი წლის განმავლობაში მეტად საგულისხმო შედეგებს მივაღწიეთ. მცხოვრებთა სრული ნდობა და პატივისცემა დავიმსახურეთ და საერთოდ ქართული მმართველობის პრესტიული ისე ამაღლდა, რომ სომხურ სამხრეთ არტაანიდგან მთელი სოფლები იყრებოდნენ და თავს აფარებდნენ ჩრდილოეთ არტაანში. სომხები ამ მოვლენაზე თვალებს ხუჭავდნენ, რადგან თვითონვე ეშინოდათ თავიანთი თურქ-ქურთების პარტიზანების და ჩამწყვდეულნი იყვნენ მხოლოდ ქალაქში. არსებულ მდგომარეობის შესახებ მე მოხსენება გაუკეთე ბ-ნ ნოე ჟორდანიას, რომელიც იმ უამაღ აბასთუმანში იმყოფებოდა. მან მოწონა ჩემი გეგმა და დაუმატა: „შენი გეგმა სისრულეში მოიყვანე და თუ სომხებმა რაიმე დაპრკოლება გაგიწიეს, მე იმათ სანაინის ტუნელს ამოუკეტამო“. დაბრუნებისას მე დავიბარე ჩემთან ოლქის უფროსი პოლკადიმოვი და მათი გარნიზონის უფროსი კაპ. შახნაზაროვი და შევპირდი, თუ ისინი პარტიზანების მხრივ გასაჭირები ჩავარდებოდნენ, მე სომხებს მფარველობას აღმოუჩენდი. რამდენიმე დღის შემდეგ სომხებს მართლა პანიკა შეექმნათ. ქალაქის ხიდზედ მდ. მტკვარზედ ერთ მხარეს ჩვენი ჯარის კაცები იდგნენ ქართულის დროშით, მეორე მხარეზე სომხის ჯარისკაცები, სომხის დროშით. ჩემი განკარგულებით მათმა გარნიზონმა იარაღი ჩავაბარა და მეორე დღესვე ათასზე მეტი სომეხი არტაანიდან ახალქალაქის გზით ალექსანდროპოლში გადავვზავნეთ. იმ დღესვე ადგილობრივმა თურქებმა სომხების დროშა მტკვარში გადააგდეს და ჩვენ დავიჭირეთ არტაანის სამხრეთი ნაწილიც, ხოლო დანარჩენი რაიონებიც რომლებშიაც სომხები ფეხს ვერ სდგამდნენ, მცხოვრებთა სურვილით ჩვენ შემოვიერთეთ.

ამრიგად სომხებმა ისე დაჰკარგეს არტაანის ოლქი, რომ მსხვერპლი არ გაულიათ. ყარსის სხვა ოლქებიც დაჰკარგეს სომხებმა, მაგრამ უკვე ოსმალეთის სასარგებლოთ. სომხების აღმინისტრაციის უხეშმა მართველობამ საბაბი მისცა უცხო ძალას ყარსის ოლქში იარაღით შესულიყვნენ. ყარსთან ბრძოლებში სომხებმა დიდი დანაკლისი გაიღეს. კაზიმ კარაბექირ ფაშის სარდლობით ოსმალეთმა ყარსი დაიპყრო. სომხების ანგრეული ჯარები იძულებული იყვნენ უკან, ერევანში დაბრუნებულყვნენ. დიდი სომხეთის შექმნის მაგიერ ოსმალეთის ტერიტორიაზე სომხებმა ყარსის ოლქიც ვერ შეინარჩუნეს. ინგლისელებზე დამყარებული იმედები მთლად გაუცრუვდათ და ერევანის რესპუბლიკაში ჩაიკეტნენ.

ამრიგად, სომხეთმა დაჰკარგა ყარსის ოლქი 1920 წელში, კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. საქართველომ-

კი არტაანის ოლქი შეინარჩუნა 1921 წლებდე, ბოლშევიკური რუსეთის მთავრობის თავის ქვეყნის მოვლაში საქართველოში. სომხეთის მთავრობას თავის ქვეყნის მოვლაში საქართველოს მენშეიკურმა მთარობამ გადააჭარბა. უორდანიას მთავრობის სრული უფიციონალური არსად ისე აშკარად არა სჩანდა, როგორც პროვინციებში. მარქსისტულმა მთავრობამ ძველი კანონები და ტრადიციით განმტკიცებული ადათი ერთი ხელის დაკვრით გააუქმა; ახალი კი ვერავითარი შექმნა. ადგილობრივ ხელისუფლებას თავისი უფლება და მოვალეობა განსაზღვრული არა ჰქონდა. ხშირად პირდაპირი მოვალეობა მივიწყებული რჩებოდა და განსაზღვრული ფუნქციებისათვის დანიშნული მოხელეები სულ სხვა სახის საქმიანობას ეწეოდნენ. ყველა საკუთარი გაგებისა და სურვილის მიხედვით მოქმედებდა. ამიტომ პერიფერიებში ყველაფერი აირ-დაირია და გახშირდა ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საქართველოს ყოველ კუთხეში უორდანიას მთავრობა, მხოლოდ თავისიანებს აგზავნიდა; ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა სოც. დემოკრატის ეჭირა. ეს იყო მთავრობის გარკვეული პოლიტიკა, რამაც საქართველოს სულიერ მთლიანობას დიდი ზიანი მოუტანა. ამას მოჰყვა „პროვინციული“ მიკერძოება მართვა-გამგეობის საქმეში. საბედნიეროთ საქართველოს საკმაოთ ჰქონდა ეროვნული მთლიანობის შეგნება და სახელმწიფოებრივი კულტურა, რომ ასეთ მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობას ფართო გასაქანი არ მისცემოდა. მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ხალხში ასეთი გრძნობები იბადებოდა, მოლიანად უორდანიას მთავრობის პოლიტიკის შედეგი იყო და ამ პოლიტიკას აშკარად საქმე ნამდვილ კუთხურ ანტაგონიზმამდე მიჰყავდა. აა, ეს გახლდათ უორდანიას მთავრობა. სბედნიეროდ არტაანის ოლქი, თავისი მრავალფეროვანი მოსახლეობის გამო გადაურჩა ამ წითათს. მით უმეტესად, რომ აქ ადგილობრივი ხელისუფლება მტკიცედ იდგა სამშობლოს ინტერესების სადარაჯობები. არტაანის ოლქში სამი წლის განმავლობაში სრული წესიერება და სიმშვიდე სუფევდა იმ დროსაც, როდესაც ოსმალეთის ჯარები ყარსის ფრონტზე სომხებს ებრძოდნენ. ყიაზიმ კარაბექირ ფაშას შტაბმა მაცნობა მე, რომ ისინი საქართველოს საზღვრებს არტაანის ოლქში ერთი ნაბიჯითაც არ გადმოლახავდნენ და რომ ისინი არტაანში საქართველოს ხელისუფლებას სცნობენ. ამის შესახებ მე იმ დღესვე ვაცნობე ტფილისში. მკითხველისათვის საყურადღებოა, თუ როგორი პასუხი გასცა უორდანიას მთავრობამ და გენერალური შტაბის უფროსმა გენერალ ზაქარიაძემ. უორდანიას „დიპლომატებმა“ გენ. ზაქარიაძის „სამხედრო - სტრატეგიული მოსაზრების“ მიხედვით (ამ დროს საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გენერალი კვინიტაძე „განთავისუფლებული“ იყო) ბრძანება გადმოგვცეს მე და მეთორმეტე ათასეულის უფროსს პოლკოვნიკ გრიგოლიას, რომ არტაანის გარნიზონს \*) ოსმალეთთან არსებული საზღვრების დაცვა

\*) იმ უამაღ არტაანის გარნიზონს შეადგენდა მეთორმეტე ათასეუ-



გაეძლიერებინათ. ეს მოულოდნელი დემონსტრაცია ოსმალეთის ტრინიტარიუმის  
აღმდეგ გამოიხატა შემდეგში: ჩემთან მოვიდა მაიორი დ. ანანიაშვილი  
და მთხოვა დახმარება, რომ მისი ზარბაზნები არტაანის ციხის ფორტებ-  
ზე აგვეტანა და მტრისკენ მიგვემართა. ყველა ჯარის ნაწილის უფროს-  
ები აღელვებული იყვნენ ამ პროვოკაციული ბრძანებით, რითაც საშიშ-  
როებას ჩვენ თითონ უქმნიდით ჩვენ თავს. მე, ამ დროს ტელეგრაფიო  
შინაგან საქმეთა მინისტრს ბ-ნ რამიშვილს ველაპარაკებოდი შექმნილ  
მდგომარეობის შესახებ. ნ. რამიშვილმა გაიკვირვა ეს ამბავი და სთქვა:  
„მაგ ბრძანების სისრულეში მოყვანა არტაანის ოლქის დაკარგვას ნიშ-  
ნავს. რამდენიმე საათში მიიღებთ ახალ ბრძანებასო.“

ნ. რამიშვილის ჩარევით ახალმა ბრძანებამ გააუქმა პირველი, გენ-  
ერალი ზაქარიაძის ბრძანება და ოლქში კვლავინდებული სიმშვიდე ჩა-  
მოვარდა. როგორც მე ვიცი, გენერალური შტაბის პირველი ბრძანება  
გენერალ ზაქარიაძემ ახალციხე - ახალქალაქის და არტაანის რაზმის  
უფროს გენერალ ვარდენ წულუკიძის (გენ. ვარდენ წულუკიძე იმ დრ-  
ოს შვებულებაში იყო) მოადგილეს გენერალ ტარასი ვაშაკიძეს გადა-  
აბრალა. ეს მხოლოდ ერთი მაგალითთაგანია გენ. ზაქარიაძის გენერალ-  
ური შტაბის თავის სიმაღლეზე არ დგომისა. ნეტახსენებული გენ. ვარ-  
დენ წულუკიძე არტაანში ჩამოვიდა და დარწმუნდა ადგილობრივ, რომ  
არტაანს არავითარი საშიშროება ოსმალეთის მხრივ არ მოელოდა, რის  
შედეგად არტაანიდგან ჯარები მოხსნეს. არტაანი და ართვინი დღე-  
საც საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში შეიძლებოდა ყოფილი-  
ყო, უორდანის მთავრობას რომ სომხეთის მაგალითისათვის არ მიება-  
ძა. თუ სომხეთის მთავრობა შესცდა და გაწითლდა იმის მოლოდინში,  
რომ წითელი რუსეთი ოსმალეთს ომს გამოუცხადებდა, უორდანის მთა-  
ვრობამაც უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა წითელი რუსთის შემო-  
სევის დროს საქართველოში, მან ოსმალეთს არტაანი და ართვინი შეს-  
თავაზა, რათა ოსმალეთი ჯარით დახმარებოდა საქართველოს რუსე-  
თის წინააღმდეგ. მენშევიკური მთავრობის სხვა გულუხვობაზედ საქა-  
რთველოს საზარალოდ სჯობია ნულარას ვიტყვით. ოსმალეთის დიპ-  
ლომატია უორდანის ანკესზე არ წამოეგო და არამც თუ ომში არ ჩაე-  
რია, მცირედი დახმარებაც არ გაუწია მენშევიკ უორდანის ბოლშევი-  
კების წინააღმდეგ და ის, როგორც ვიცით დღესაც განამრბობს მჭიდრო  
მეგობრულ კავშირს საბჭოთა რუსეთთან.

მოტყუებული დარჩა მხოლოდ ბატონი უორდანია, რომელმაც  
ტყუილ უბრალოდ ჩაუგდო ოსმალეთს ქართული პრვინციები.

### იოსებ გვარამაძე

---

ლი პოლკ. ა. გრიგოლიას მეთაურობით, ბატარეია მაიორი დ. ანანიაშ-  
ვილისა და ბ. ბეგ მაჩაბლის ესკადრონი, პოლკ. გრ. მგალობლიშვილის  
მეთაურობით.

## დაუვიზუარ ჩვენი ქაშუცას მოსაგონებლად


ამ დღეებში შესრულდება რვა წელიწადი, რაც დავკარგეთ ჩვენი გმირი თავადი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ვათავსებთ იმ სიტყვას, რომელიც გრიგოლ დიასამიძემ წარმოსთქვა 1930 წელს ივლისის 5-ს ბერლინში გამართულ სამგლოვიარო ყრილობაში:

„განსაკუთრებული ცხედარი გვისვენია... ვუმზერთ ზოგი თვალით, ზოგიც გონებით და მაინც თითქმ ვერა გადაგვიწყვეტია რა... ვინ იყო, რა იყო ჩვენთვის? ვინ დავკარგეთ? გმირათ მიგვაჩნდა. გმირიც იყო! მაგრამ რამდენი გმირი გვინახავს?! ეს ხომ რაღაც სხვა იყო — ტანადი, თვალწარმტაცი, კეთილი, პატიოსანი, მხიარული, ამხანაგი მეგობარი! ზოგჯერ თქმულა ქართველებმა მეგობრობა არ იციანო. მთქმელს, რომ გახსენებოდა იმ დროს ეს მიცვალებული, ენაზე იკბენდა. მართლაც, შუდამ მოსაგონარმა ჩვენმა ქაქუცამ მეგობრობა არ იცოდა? მაშ რით დაიმსახურა ჯერ კიდევ ყრმობაში საერთო სიყვარული, პატივისცემა? ილია იტყოდა ხოლმე ადამიანისშვილზე — კაცური კაციაო. სულ ჯეელს, სიცოცხლის მოსურნეს სწყუროდა ხალხის გამარჯვება, სწადდა კიდევ ეხილა სამშობლო, როგორც სასწაულთმოქმედი ხატი სამთხვევლად. ახლა, როცა ადგილი მისი დაცარიელდა, თანდათან გავირკვევთ რით იყო გამოწვეული ეს უზომო სიყვარული მისდამი. ჩვენ გვიყვარდა მასში ქართველი კაცის ძველი და ახალი თვისებები. ძველი დვრიტა! ახალი მასალა! რა ბელნიერებაა ასეთი შეზავება პიროვნებისათვის, ერისათვის! მასში იფეთქა, ბევრისათვის, თითქმ მოულოდნელად, ძველი ქართველის სიმამაცემ, კეთილშობილებამ, მაღალზნეობრიობამ. მხოლოდ დიდ ძალას შეეძლო შეექმნა ის მთელი ქართველი ერისათვის სათაყვანო პირად. ყოველი სალი მამულიშვილი, რა რწმენისაც უნდა ყოფილიყო იგი, მასში ჰპოებდა ქართველი კაცის თავის სათაყვანებელ მხარეს. განგებამ, გარემოებამ მიუთითა მასზე სწორედ მაშინ, როცა ხალხს სწყუროდა გმირის ხილვა. ეს იყო ბელადი, ერის დიდი ნაწილისაგან დასტურდართული, მისგან კურთხევა მიღებული. ამიტომაც გაუძლო სამშობლოს მტერს ტყე-ლრეში ოთხი წლის განმავლობაში უჭმელ-უსმელმა. ხალხისაგან სიყვარულ მიუღებელი ამ სასწაულს ვერ მოიმოქმედებდა. ახლა მისტირის მას ორივე საქართველო:

პირველი, — ნამდვილი, მტრებით გარემოცული საკუთარ მიწა-წყალზე, ჩუმად, იღუმლად;

მეორე — მკრთალი მისი ოდნავ ანარეკლი, უცხო მხარეს გულლიად, ხმამალლა...

აქ მყოფთა გარემოება უფრო ხელსაყრელია: თავისუფლად შეგვიძლია მაინც გულისწუხილის მოქარვება. ვესწრებით დიდებულ წამს! ვალმოხდილ მამულიშვილის გარდაქმნას, ფერისცვალებას. შორდება ადამიანს ყოველივე მიწიური და ეხვევა სამარადისო საბურველი. სათაყვანო გმირი ხდება არაკი, ლეგენდა! რამდენი რამ საამაყო მოიყრის თავს მისი სახელის გარშემო მომავალში! ზოგი ნამდვილი, ზოგიც წარ-



მოდგენილი, მაგრამ ცხადს მაინც არც ისე დაშორებული. თხზუასაც აქვს თავის საფუძველი რეალობაში!...

ობლად დარჩენილებს, ვისაც თვალით გვიხილავს, ყურით მოგვისმენია, გვმართებს კიდევ ვალის მოხდა. ჭეშმარიტ ბელადისაგან თავის მიწა-წყლის მიტოვება — ღიღი ტკივილია, მაგრამ წამალი ამის ატანისა თვით მისგან დანატოვარში მოიძებნება. გავიხსენოთ, როგორ ჰშველოდა ის ყველას ყოველ გაუგებრობის, ყოველ უთანხმოების მოსასპობად, ალელვებულთა დასაშოშმინებლად. თავის სამართლიანი, წესიერი ჩარევით ის მუდამ გვაყენებდა სწორ გზაზე.

ახლაც თავის სიკვდილით, თავის ნამოქმედარით, ხალხისაგან მორონცხებული, შემოგვლალადებს: — უზომო სიყვარული სათაყვანებელ ხატისა, მისი მოვლა; ამ მიზნის ყველაზე მაღლა დაყენება;

მიტოვება ყოველივე პირადულის, ყოველივე ჯგუფურის. არ დავიწყება ქიშპის დროს: პატიოსან მტერთა შორის მოციქული ნამუსია!

ამ ძველთაგან გარდმონაცემ ალთქმას არ ჰლალატობდა ჩვენი დამაობლებელი მოძმე. იცოდა, რომ ამ გზით ჰპოებდა ხოლმე ხსნას გაჭირების წამს ჩვენი სამშობლო.

ქაქუცამ თავის ვალი მოიხადა. ხალხის მიერ ნაკურთხი ის შევიდა უკვე საქართველოს სამოთხეში. ადგილი ძველადგანვე მიჩენილი აქვს: სახელოვან წინაპარ წმიდა ბიძინა ჩოლოყაშვილის გვერდით.

ჩვენც, ცოცხლებს, გვმართებს მისი და მისი ქვეყნის ვალის მოხდა — სწორე, ღირსეული შესრულება ქაქუცას ნაანდერძევის. მისი შეფიცულების მამულიშვილურ ფიცს ჩვენი საკუთარიც მივუმატოთ. ამას საქართველოს ხსნაც მოჰყვება და ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სახელიც უფრო გაცისკროვნდება დიადი შარავანდედით...



## პ რ ე ს ა

### „მთლიანი ფრონტი“

ამ რამდენიმე წლის წინად, მეასე ნომრის გამოსვლის გამო „დამოუკიდებელი საქართველო“ სწერდა: — ჩვენი გამოცემა „მთლიანი ფრონტის“ ორანოა, მაგრამ არ შეგჭამოთ ჭირმა, ვინც ამ ფრონტის მეთაურია და აქ უნდ სწერდეს, ის სხვა გაზეთს რედაქტორობს და სხვა-გან სწერსო. მთელი ეს წლები „ფრონტის ორგნო“ ბ. ილია ნუცუბაძის წერილებით აჩანჩალებდა თავის უფერულ წუთი სოფელს.

ეს საყვედური ამ „მთლიანი ფრონტის“ დამაარსებელს და თავმჯდომარეს ბ-ნ ნ. უორდანიას ეხებოდა. ფრონტის მთლიანობას პირველი ლახვარი თვით ბ. უორდანიამ ჩასცა, ის იყო რომ ფრონტში შესულ პარტიათა მეთაურებში, პირველმა გაიჩინა პარტიული ორგანო. მის მაგალითს მიბაძეს ფრონტში მყოფმა სხვა პარტიებმაც და მოხდა საარაკო ამბავი: პარტიები „ერთ ფრონტში“ იყვნენ, მაგრამ გაზეთებში ერთმანეთს ებრძოდნენ.

თუ ამის შემდეგაც „დამოუკიდებელ საქართველოს“ მაინც ფრთხოების არგანო ერქვა, აიხსნება მხოლოდ იმ გაუგებრობით, რომ მის მთავარ რედაქტორს, ბ.ნ ა. ჩხენკელს, ქარზედ გამდგარი ქოთნის თვისება აქვს. შეუძლია მღერა ქარზედაც და მით უფრო მაღლა, რაც უფრო დიდია ქარი. მაგრამ „ფრონტი“ აღარ იყო. ის შეჭამა მენშევიკურმა პარტიამ ისევე, როგორც შეჭამა მენშევიკურმა რეუიმმა საქართველოს დამოუკიდებლობა.

„ფრონტის“ გახრწნამ გამოიწვია ფრონტში შესული პარტიების გახრწნა და ყველაზედ უფრო მენშევიკური პარტიის. პარტიას მოსწყდა შინაური და გარეული. შეეცადნენ მის გადარჩენას, მაგრამ პარტიას გადარჩენა ვერ შესძლო ვერავითარმა ხერხმა. საჭმე იქამდის მივიდა, რომ „ბრძოლის ხმის“ რედაქცია, ბოლო ხანებში, მხოლოდ ერთი სოფლის ხალისაგან შესდგებოდა. ოდესლაც „ძლიერი“ მენშევიკური პარტია კარის მეზობელთა ამარა დარჩა. ესენი ერთ ვუთანსაც ვერ შეაბამენ და ბოლოს პარტიიდან გაქცევა დაპირა თვით ბ-ნმა უორდანიამ. დღეს იგი ისევ „ფრონტშია“ და იქიდან აპირებს თავისი გადაბრუნებული ურემის ამოყვანას.

ასე გაატარა ბ. უორდანიამ ჩვიდმეტი წელიწადი ემიგრაციაში, ასე იღვწოდა იგი „პარტიაში“, როცა პარტია აღარ იყო და ასე დაუბრუნდა „ფრონტს“ როცა ფრონტი აღარ არის!

### კაკაფონიის დირიჟორი


„ბრძოლის ხმიდან“ გაქცეულ ბ. უორდანიას „დამოუკიდებელ საქართველოში“ ბ. ჩხენკელმა სოციალისტის მარკეს და ფაშისტის მანარდის წერილები დაახვედრა. ბ. მარკე და ბ. მაინარდი ერთმანეთს სიმღერას ვერ ეტყვიან. მაგრამ ბ. უორდანიასათვის, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე კაკაფონიას დირიჟორობდა, ასეთი კონცერტის დირიჟორობა სულ იოლი საჭმეა.

ასე გააერთიანა ბ. უორდანიამ საქართველოს საკითხის გარშემო სოციალიზმი და ფაშიზმი, ვერ გააერთიანა მხოლოდ ქართული ემიგრაცია. ამ უკანასკნელი საკითხის გამო თვით „მთლიან ფრონტში“ სხვა და სხვა შეხედულობა არსებობს. ბ. ს. ფირცხალავა ფრონტის ძველი მოღვაწე, მაგალითად, იმავე ნომერში კათეგორიულად აცხადებს:

„ერთმანეთთან დავამ და ბრძოლამ გადაიტანა მთელი ჩვენი ენერგია. ჩვენმა შეუთანხმებლობამ და დაშლილობამ უცხო ერებში წონა წაგვართვა; საჭირო პატივი დავკარგეთ მეგობრებსა და მტრებში; ჩვენმა კავკასიელმა მეზობლებმაც სხვანაირად დაგვიწყეს ყურება — ზევიდან“-ო.

მაგრამ მას არ ეთანხმება ბატონი რაფიელ ივანიცკი-ინგილო და სულ საწინააღმდეგოსა სწერს:

„აქ — საზღვარ გარედ — მებრძოლი საქართველო წარმოდგენილი არის, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია (მაგალითად ბ. ს. ფირცხალავას წერილით! „კავკასია“). მის კანონიერ მთავრობის მიერ, რო-



მლის ირგვლივ — გამანთავისუფლებელ ბრძოლის წარმატებით შედეგის მიზნით (თქვენ სიტყვები ნახეთ და! „კავკასია“) — თავს იყრიან ყვლა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობანი, უკიდურესი მონარქისტებით დაწყებული და გათავებული სოციალდემოკრატებით“-ო.

ასე სწერს სიტყვა სიტყვით ბ. უორდანიას ნეტარი თანამოსაზრე ბ. რაფაელ ივანიცკი-ინგილო.

მაგრამ თუ კი შესაძლებელია რომ „დამოუკიდებელ საქართველოში“ სოციალისტი მარკე და ფაშისტი მაინარდი ერთად სწერდნენ, რატომ უნდა იყოს შეუძლებელი, რომ ერთსა და იმავე გაზეთში და ასე გაშინჯეთ, ერთსა და იმავე ნომერში, ერთი და იმავე ფრონტის ხალხს, ბ. ფირცხალავას და ბ. რ. ივანიცკი-ინგილოს, ერთსა და იმავე ფრონტზედ ასეთი სხვა და სხვა შეხედულება ჰქონდეთ.

სხვა საკითხია, თუ ვის ჰგულისხმობს ბ. ივანიცკი-ინგილო „უკიდურეს მონარქისტების“ სახით, რომლებიც ასე ჩახუტებიან ბ. უორდანიას? მაგრამ ეს საკითხი ბ. ინგილოს არ ეხება. ბ. ინგილომ თითონ განაცხადა ერთხელ, რომ „დამოუკიდებელ საქართველოს“ რედაქტორია სხვა შინაარსის წერილების დაწერას მავალებს, მაგრამ გარემოების გამო სულ სხვა რამის დაწერა მიხდება ხოლმეო.

აქვთ თავისი ბედისწერა ნაციონალ დემოკრატიულ პუბლიცისტებსაც...

საკითხი უფრო ბ. ბ. ვ. ნოზაძეს და ა. მანველიშვილს ეხება, რომლებმაც თითონ უნდა გადასწყვიტონ, რომელია მათში, რომ ასე მოუსამსახურებია ბ. უორდანიას?

### ძირს „დმოკრატია“, ძირს „ერთა ლიგა“!

გაუმარჯოს ფაშიზმს! გაუმარჯოს ჰიტლერიზმს, ასე იძახის იმავე „ფრონტის“ ძველი მოლვაწე ბ. გ. გვაზავა და ისიც იმ აზრისა არის, რომ ძველი „მთლიანი ფრონტი“ აღარ არსებობს.

„ჩვენ შევქენით ჩვენი ეროვნული ცენტრი მაშინ, როცა ერთა ლიგა იძლეოდა დიდ იმედებს და მისი სახელი და პრესტიჟი აძლევდა მიმართულბას მთელი ევროპის პოლიტიკას, ეხლა; როცა გამოირკვა მისი სისუსტე და შეცდომები, როცა შეიქმნა „ლერძი ბერლინ-რომი“, რომლის ტრიალი ძირითადათ სცვლის უენევის პოლიტიკას და მის მეთოდებს, ჩვენ არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ ამ დიდი გარდატეხის წინაშე“-ო — სწერს ამ ფრონტის ოდესალაც დიდი მეხოტბე ბ. გვაზავა და მოითხოვს ახალი ფრონტის შექმნას, საღაც ფაშისტები და სოციალისტები „ერთად“ უნდა შევიდნენ.

ასე აირია ფრონტი, ასე აირია პარტია, ასე აირია ბ. უორდანია. ქართული მენშევიზმი (მასთან გაერთიანებულ „მონარქისტებით“, „ფაშისტებით“ და „ნაციონალისტებით“) თავისი შეშლილობის უმკვეთრეს ხანას განიცდის. ის მიღის თავის სრულ განადგურებამდის და თან მიჰყავს რაც იყო ქართულ ემიგრაციაში ორპირი, უგულო, უსულო, უჭკულ და უვიცი. განი მათ, ბატონებო, განი!



ატრაკუნე პუბლიცისტი!

ატრაკუნე პუბლიცისტი ბ. მანველიშვილი ბრძანდება. მან ერთხ. ელ თავის გაზეთში განაცხადა, რომ რაკი მე „მესხი“ ვარ და მესხეთი კი მუდამ წინ უძლოდა საქართველოს, ამიტომ ქართველობა მე უნდა გა-მომყვესო. ქართველობა მანველიშვილს არ გაჰყვა და თითონ ბ. მანვე-ლიშვილი გაჰყვა მენშევიკებს. დღეს ეს ყველასათვის ცხადია.

მერე ბ. მანველიშვილმა განაცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის შე-  
გირდი და ქართული უნივერსიტეტის გაზრდილი ვარ და ამიტომ მე-  
უნდა გამიგონოთ და არა ზ. ავალიშვილსო. „გაუგონეს“ მარტო მენ-  
შევიკებმა, ბოროტმა ენებმა კი ლაპარაკი დაიწყეს, რომ ბ. მანველიშ-  
ვილი ტყუილს ამბობს, უნივერსიტეტის სტუდენტი კი არა, ბოლშევი-  
კური „რაბთაკის“ შეგირდიაო.

შემდეგ მან მოინდომა ეჩვენებინა ქართულ ემიგრაციისათვის, რომ კანტს ჩინებულად ვიცნობო და თვით სიტყვა ჩინებული „ჩინურად“ გამოაკვეთა.

ჩვენმა პატივცემულმა თანამშრომელმა ბ. ვლ. ემუსტარმა სულ იო-  
ლად დაუმტკიცა ბ. მანველიშვილს, რომ კანტისა მას იმდენივე გაეგება,  
რამდენიც გაეგება ფსალმონისა ბელურას, რომელიც ჯვარზედ ჯდება.

დასასრულ, რათა ბ. მანველიშვილს ქართული ემიგრაცია ერთ-ხელ კიდევ გაეცინებინა, მან ერთი საკითხი კიდევ დაუყონა მას:

— რა დაემართებოდა საქართველოს, რომ მანველიშვილის სოფელი, რომელიც ოსმალეთის საზღვრიდგან თურქე ხუთ კილომეტრზე ყოფილა, ოსმალეთს წაელო?


გადაჭრით ვეტყვით ბ. მანველიშვილს, რომ არაფერი!

მას შემდეგ რაც ოსმალეთმა მთელი მესხეთი წაიღო, ერთი თავ  
გადაღლებილი მანველიშვილი საცა უნდა იქ ეგდოს...

ასე სწერს ეს ბრიყვი, უვიცი და უზრდელი ხალხი თავის თავზე, ასე იტყლარჭება, ასე იბერება, ასე ჰპირდება ქართველობას გაბეღნიერებას, მაგრამ მოკლებულია ყოველგვარ უნარს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკური მუშაობა აწარმოვოს და მუდამ სხვისი ინტრიგის აგენტებია.

“კრაისტენი დოფი გაეცლიაზელის დაწუკვა

საბედისწერო გახდა კოლონელ ევგენ კონოვალეცისათვის ჰოლანდიის როტერდამში მისვლა 23 წარსულ მაისს თავის ნაცნობ უკრაინელ ვალუხთან დანიშნულ პაემანზე. ვალუხი იყო მოსული საბჭოთა უკრაინიდან მოხსენების გასაკეთებლად თავის მეთაურთან. წინადაც ხვდებოდნენ ამ მიზნით ეს თანამემამულენი. ვალუხი გადასცემდა ხოლმე ამანათებს, რომელშიაც ელაგა ხან რუსული თამბაქო, ხან იქაური ტკბილეულობა. ახლაც თანამემამულემ ასეთივე ამანათი გადასცა, რომელ-



შიაც მოთავსებული იყო წინანდელ საგნების მაგიერ ჯოჯოხეთის მანანიშვილი ქანა ანუ უბრალო სიტყვით, ყუმბარა, რომელიც მაშინვე გასკდა, როცა კონოვალეცი „ატლანტის“ კაფედან გამოვიდა და ამანათს ხსნა დაუწყო. ყუმბარამ ე. კონოვალეცი იმსხვერპლა. მას საგანგებოდ დაბარებულ ჰყავდა პრალიდან თავის თანამშრომელი ი. ბარანოვსკი, რომელიც გამოჰყორინდა ჰაეროპლანით, მაგრამ ვერ მოუსწრო ცოცხალს. უბედურ კონოვალეცს არ უნდოდა მარტოკა შეხვედროდა მოსულს. პატანი ისე მოულოდნელად იყო დანიშნული, რომ დროზე ვერ შეატყობინა განსვენებულმა თავისიანებს. კონოვალეცს თან ჰქონდა იოსებ ნოვაკის პასპორტი. მკვლელი უცებ გაჰქირდა. ჰაეროპლანის ცნობით უნდა გასულიყო ხუთშაბათს, გავიდა კი სამშაბათს, ე.ი. მკვლელობის მეორე დღეს. წინასწარმა გამოძიებამ ჯერ-ჯერობით ვერ აღმოაჩინა დანამდვილებით იყო თვითონ ვალუხი, თუ ვინმე სხვა მოგზავნილი. კაფეს მსახურის ჩვენებით გამორკვეულია მხოლოდ, რომ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს როგორც ნაცნობნი.

ევგენ კონოვალეცი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო სულ 46 წლისა. დაიბადა გალიციაში სოფლის მასწავლებლის ოჯახში, დაამთავრა ქალაქ ლვოვის (ლემბერგის) გიმნაზია და შემდეგ ისმენდა ლექციებს იშავე ქალაქის უნივერსიტეტის იურიდიულ ნაწილზე. მსოფლიო ომის დროს იყო ავსტრიის ჯარში. 1915 წელს რუსებს ჩაუვარდა ტყვეთ და ბინად მიჩენილი ჰქონდა ქ. ცარიცინი. 1917 წ. რევოლუციის დროს კონოვალეცმა კიევში შეჰქმნა „სეჩის მსროლელთა“ (სეჩევიე სტრელცი) ორგანიზაცია, რომელიც ჰმოქმედებდა უკრაინაში, სანამ შემოსულმა გერმანელთა ჯარის უფროსობამ ეს სამხედრო ორგანიზაცია არ დაშალა. 1918 წ. აგვისტოში ე. კონოვალეცი დაემორჩილა ჰეტმან პავლო სკოროპადსკის, მაგრამ შემდეგ იმავე წლის ნოემბერში ის მიემხრო განსვენებულ სიმონ პეტლურას, რომელიც 1926 წ. პარიზში მოჰკლა საბჭოთა აგენტმა ებრაელმა შვარცბარდმა, ამ უამათ საბჭოთა კავშირში მყოფმა. როცა 1920 წელს აღმოსავლეთ გალიციაში უკრაინელმა სამხედრო პირებმა, რომელნიც იყვნენ ვენაში გახიზნულ დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მომხრენი, — დაარსეს საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია ეგრედ წოდებული „უვო“, ე. კონოვალეცი მის მეთაურად გახდა. ამ დროს ლვოვში მოქმედებდა აგრეთვე ნაფ. ვექილი სტეფანე ფედაკი, რომლის და შეირთო კონოვალეცმა. შემდეგ 1924 წელს ეს ორგანიზაცია შეუერთდა უკრაინელ ნაციონალისტთა ორგანიზაციას, რომლის მცირე სახელი იყო „უონ“. გაერთიანებულ ორგანიზაციის მეთაურად ისევ განსვენებული დარჩა. ეს ორგანიზაციები ჰქონდნენ მიზნად დიდი უკრაინის შექმნას ამიერ-კარპატების მიწებიდან მოყოლებული კავკასიამდე და იმავე დროს უცხადებდნენ მედგარ ბრძოლას ყველა იმ სახელმწიფოთ, რომელთაც დაჭერილი ჰქონდათ უკრაინული მიწა-წყალი. ასეთ მტრებათ მიაჩნდათ პოლონეთი, საბჭოთა რუსეთი, და რამდენადმე რუმინია და ჩეხეთ-სლოვაკეთი.

კონვალეცი თავის თანამშრომლებით აწარმოებდნენ ტერორს თავის განვითარების მიმართ. უმთავრესად ებრძოდნენ პოლონეთს და საბჭოთა რუსეთს. არ ინდობდნენ აგრეთვე არც თავის თანამემამულეთ, რომელნიც თანამშრომლობის მომხრენი იყვნენ სამშობლოს მტრებთან. პოლონელები და სხვები კონვალეცს აწერენ მრავალ ტერორისტულ აქტებს. მაგრამ მას არ უწარმოებია მარტო ტერორი. იგი ეწეოდა დიდი პროპაგანდას სხვა და სხვა ენების საშუალებით თავის პოლიტიკურ მიზნების სასარგებლოდ. ამისათვის ის ეწეოდა გამომცემლობას. გამოცემათა შორის ცნობილია მისი ორგანო „სურმა“, რომლის რედაქცია იმუოფებოდა პრაპაში, იბეჭდებდა კი ლიტოვეთში. მებრძოლ უკრაინელთა მეთაური დიდის მოხერხებით სარგებლობდა სხვადასხვა სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგობით და იყენებდა მათ თავის იდეის განხორციელების მოსაახლოებლად. ზოგიერთი სახელმწიფო მას და მის თანამშრომლებს თავის პასპორტებს არ უჰერდნენ. ამიტომ ესენი თავისუფლად დაიარებოდნენ ევროპა-ამერიკაში თავიანთი საქმეების მოსაწყობად. მაგრამ თვით კონვალეცი ზოგიერთ სახელმწიფოს ათვალწუნებული ჰყავდა: შფოთისა და დავიდარაბის ატეხისა ეშინოდათ. მაგ. წყნარმა შვეიცარიამ — უენევის კანტონმა — გააძევა თვით ე. კონვალეცი 1936 წელს.


ამგვარად მეტად შფოთიანი და მოუსვენარი ცხოვრება ჰქონდა განსვენებულს. მას ასულდგმულებდა ცხოველმყოფელი იდეა მისი სამშობლოს აღორძინებისა ახლო მომავალში. იგი ფანატიკოსივით მსხვერპლათ ეწირებოდა თავის ქვეყანას. და კიდეც თავი დასდო მისთვის. კაცი შეიძლება სხვა და სხვა აზრის იყოს ტერორზე, როგორც პოლიტიკურ ბრძოლის საშვალებაზე. თუ ამის განხილვას განზე გადავსდებთ, არ შეგვიძლია არ დავასკვნათ, რომ ჩვენმა თანამოძმე უკრაინამ განსვენებულში დაჰკარგა დიდი მედგარი დაუდგრომელი და დაუცხრომელი მომუშავე. ასეთ მამულიშვილებს სდევნის დღეს საბჭოთა რუსეთი ჩვენი თესლის კაცის მეთაურობით. მისი წინამოადგილე ლენინი—ულიანოვი ფორმალურად მაინც ჰქადაგებდა ერთა თვითგამორკვევას და თავისუფლებას, მისი მოწაფე, როგორც ეძახიან მას ახლა, ქართველი სტალინი-ჯულაშვილი სპობს დაჩაგრულ პატარა ერების ერთგულ მამულიშვილებს... მარქსიზმი-სტალინიზმი მათ ვერ ჰგუმბს, მაგრამ პირუთვნელი ისტორიის კაბადონები მზადაა მათი წრფელი მადლობით მოსახსენებლად და ბრწყინვალე შარავანდედით შესამკობად.

**ქართველი მებრძოლი.**



## ტამბი ელექტოტის მოხსენება

9 ივნისს, სოსიეტე სავანტის დარბაზში, „კავკასიის შესწავლის წრეში“, ამ „წრის“ გამგეობის წევრმა და უურნალ „კავკაზის“ თანამშრომელმა ბ-ნ ტამბი ელექტოტიმ წაიკითხა მოხსენება: „კავკასიის ისტორიული პრობლემა მსოფლიო მოვლენათა წინაშე.“



თავმჯდომარეობდა „წრის“ ახალი კთავმჯდომარე ბ-ნი უგოლოვანი უურული. დარბაზი გაჭედილი იყო მსმენელებით. მოხსენებას დაესწრო აზერბეიჯანელთა, ძთიელთა, სომეხთა და ქართველთა კოლონიების მრავალი წარმომადგენელი. არ დაესწრო ბ. დავით ვაჩინაძე, აგრეთვე „კავკასიის შესწავლის წრის“ გამგეობის წევრი, რომელმაც იმავე კავკასიური „პრობლემის“ შესახებ ორჯერ გააკეთა მოხსენება! ერთი თვით ამ „წრეში“, მეორე — განსაკუთრებით ქართულად, რომელზედაც „ოთხი დეკემბრის მიტინგის“ ხალხი ბევრი აბლავლა უურნალ „კავკაზის“ წინააღმდეგ და რომლის მოხსენებით გამოწვეული იყო ბ-ნ ტამბი ელექტოტის მოხსენება.

„მიტინგის“ პატივცემული საზოგადოება ამ მოხსენებაზედაც სავსებით დარაზმული მობრძანდა და მოისურვა კამათი მოხსენების შესახებ მისთვის ჩვეულებრივ დემაგოგიათ ექცია, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. მათ წარმომადგენლებს: ბ.ბ. უორუოლიანს, აბდუშელიშვალს და სხვებს დამსწრე საზოგადოებამ მოსთხოვა, რომ მოხსენება, რომელიც თავმჯდომარის ბ. უურულის თქმით — სავსებით აკადემიური იყო — მიტინგად არ გადაექცია. ჩინებული პასუხი გასცა მათ ბ. რ. გაბაშვილმა, რომლის სიტყვას დამსწრენი ტაშით შეხვდნენ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ბ.ბ. ა. კობახიძემ, შ. მალლაკელიძემ, ალი ათამ ბეგ სულთანოვმა, პროფ. აგაჯანიანმა, მ. ჯანშიევმა და მ. ლაშქარაშვილმა, რომლის გამოსვლის შესახებ დამსწრეთა შორის ხმა იყო, რომ ვითომც ბ. დავით ვაჩინაძეს მაგიერ ლაპარაკობდა.

გვიანი დროის გამო, მომხსენებელს საშუალება აღარა ჰქონდა ყველა ორატორისათვის პასუხი გაეცა და იძულებული იყო მოკლე საბოლოვო სიტყვით დაკმაყოფილებულიყო.

**რედაქციისაგან:** წერილი რედაქციის მიმართ — მიხ. ყაუხეჩიშვილისა ამ ნომერში უადგილობის გამო ვერ მოვათავსეთ. დაიბეჭდება მომავალ ნომერში.

### ზურაბ ავალიშვილის ახალი წიგნი

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა ზურაბ ავალიშვილის წიგნი:

**თ ე ი მ უ რ ა ზ პ ი რ ვ ე ლ ი**

და მისი პოემა

„ ჭ ა მ ე გ ა ქ ა თ ე ვ ა ნ დ ე დ ი ფ ლ ი ს ა “

### ს ა მ ი ი ს ტ ი რ ი ფ ლ ი ს ა ბ უ თ ი

ავტორის ეს ნაშრომები პირველად დაბეჭდილი იყო:

„თეიმურაზ პირველი“ — უურნალ „კავკასიაში“ და „სამი ისტორიული საბუთი“ — გაზ. „საქართველოს გუშაგში“. წიგნს დართელი ექნება ავტორის დიდი და ახლად დაწერილი შესაფალი თეიმურაზის პომისათვის.

წიგნის დაკვეთა შეიძლება „კავკასიის“ რედაქციაში. ფასი 10 ფრ. ნკი.